პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
11 ივნისი
1940 წ.
№ 133 (5834)
ფასი 10 კაპ.

F75 N165

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივცეთ ქვეყანას მეტი მარგანეცი!

შეუჩერებლად იზრდება ჩვენი სამშობლიური მეტალურგია. სტალინური ხუთწლედების მანძილზე ჩვენი სამშობლო მძლავრ მეტალურგიულ ქვეყნად გადაიქცა. უკვე მესამე ხუთწლედის დასაწყისისათვის 3½-4-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა თუჯისა და ფოლადის გამოდნობა 1913 წელთან შედარებით. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ამ ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტა პირველ რიგში დამოკიდებულია მეტალურგიული მრეწველობის განვითარებაზე, რადგან მეტალურგია ითვლება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ბაზად, რადგან მრეწველობის ყველა დარგი, დიდი ბელადის ამხანაგი **სტალინის** სიტყვებით რომ ვთქვათ, „საბოლოო ანგარიშში თუჯის წარმოებაზეა დამოკიდებული“.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოტანილი სპეციალური გადაწყვეტილება შავი მეტალურგიის მუშაობის შესახებ, წარმოადგენს მეტალურგიაზე სტალინური ზრუნვის საუცხოო მაგალითს, მეტალურგიის შემდგომი აღმავლობის მძლავრ ბერკეტს.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა შავი მეტალურგიის ერთერთი მნიშვნელოვანი ობიექტია. ეს მდგომარეობა ჭიათურის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების წინაშე ფრიად სერიოზულ ამოცანებს აყენებს. ამაზე მიუთითა მარგანტრესტსა და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციას საქართველოს ბოლშევიკთა XIII ყრილობამ.

მოსალოდნელი იყო, რომ ჩამორჩენა, რომელსაც გასულ წლებში ჰქონდა ადგილი, ყრილობის შემდეგ გამოსწორდებოდა. ამას გვპირდებოდნენ ტრესტისა და პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები. მაგრამ მოხდა პირიქით. მადნის გამოღების ოთხი თვის გეგმა 75,4 პროცენტით შესრულდა. მაისში ჩამორჩენა კიდევ უფრო გაღრმავდა — გეგმა შესრულდა 64 პროცენტით.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჭიათურაშიც არიან „დამპირებელ“ მუშაკთა ტიპები, ხმაურისა და პარადულობის მოყვარულნი. ისინი მეტი მარგანეცისათვის კონკრეტულ ბრძოლას ხმაურით, რახა-რუხითა და პარადულობით სცვლიან.

ორი თვის წინათ მარგანეცის სტახანოველთა შეკრება ჩატარდა. ტრესტის მმართველობამ და მაღაროთა ხელმძღვანელებმა დიდი რიხით აიღეს ვალდებულება — 1940 წლის გეგმას ერთი თვით ადრე შევასრულებთო. ვალდებულება ლიტონ სიტყვად დარჩა—გეგმის შესრულების მაჩვენებელმა სწორედ ამის შემდეგ დაბლა დაიწია.

ასევე ხდება მაღაროთა დირექტორებისა და ტექნიკურ ხელმძღვანელთა თათბირებზე, რომლებიც, უნდა ითქვას, აქ იშვიათად როდი ტარდება. იძლევიან დაპირებებს, გამოსთქვამენ კეთილ სურვილებს, გვარწმუნებენ — დღეს და ხვალ თუ არა, უახლოეს დღეებში მაინც მივაღწევთ მარგანეცის მრეწველობის აღმავლობასო. როდესაც უსმენთ სტალინის სახელობის მაღაროს დირექტორის ვ. გეწაძის და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს დირექტორის დ. ერგემლიძის გამოსვლას, უნებლიეთ გაგონდებათ უკრაინის ბოლშევიკთა ხელმძღვანელის, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის შესანიშნავი სიტყვები, რომლებიც მან დონბასის შახტების დირექტორთა მისამართით სთქვა.

„ჩვენ გვყავან ისეთი დირექტორები, რომლებიც ყოველგვარ დაპირებათა მოყვარულნი არიან. რად გვინდა მათი დაპირებანი ან თუნდაც სურვილები? ღუმელში ქვანახშირის ნაცვლად სურვილს ხომ ვერ ჩასდებ! საჭიროა ქვანახშირის მოპოვება. დაპირება კარგი საქმეა, მაგრამ მაშინ, როდესაც იგი სრულდება“.

იგივე შეიძლება ვუთხრათ ჭიათურელ დაპირებების მოყვარულთ. ხომ არ ფიქრობენ ისინი, რომ შავი მეტალურგია მარგანეცის მაგიერ დაპირებებითა და სურვილებით დაკმაყოფილდება?

მარგანეცის მრეწველობის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი იყო და არის მექანიზმების ცუდად გამოყენება, შრომის უვარგისი ორგანიზაცია, პარტიულ - მასობრივი მუშაობის სისუსტე, სტახანოვური მოძრაობის სუსტად გაშლა, მუშათა არადამაკმაყოფილებელი კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობები.

საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის რეზოლუციაში ვკითხულობთ: „...განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ციკლური მუშაობის მეთოდების დანერგვას და მაღაროებში მექანიზმების სრულ გამოყენებას“.

რა მოხდა სინამდვილეში? ციკლური მეთოდით მომუშავე ბრიგადების რიცხვი შემცირდა. წლის დასაწყისში ყველა მაღაროში იყო 132 ციკლური ბრიგადა, რომელთაგან გეგმას 27 ასრულებდა, მაისში მათი რიცხვი 99-მდე დავიდა, გეგმას კი მხოლოდ რამდენიმე ასრულებს.

მაღაროებში კვლავ ცუდად იყენებენ მექანიზმებს — სანგრევ უროებს, საყელავ მანქანებს, სკრეპერებს. მექანიზმების აუთვისებლობით 4½ თვეში ყველა მაღარო 1.077 საათს გაცდა, რითაც ქვეყანას რამდენიმე ათასი ტონა მარგანეცი დააკლდა.

სანგრევებში შრომის ორგანიზაცია კვლავ ცუდად არის დაყენებული. ლენინის სახელობის მაღაროს მესამე უბანში მოსამზადებელი სამუშაოები დროზე არ ჩაატარეს. ამის გამო ლავები შემცირდა. მუშები სანგრევებში ველარ იტეოდნენ, ეცემოდა შრომის ნაყოფიერება, ამიტომ ამწმენდები კ. ყიფშიძე, შ. ცარციძე და სხვ. იძულებული გახდნენ სამუშაო მიეტოვებინათ.

ძალიან ხშირად ასე ხდება: მაღაროთა ხელმძღვანელები გამალებით დაეძებენ სოფლებში მუშა-ხელს, ხოლო სანგრევებში მყოფი მუშები შრომის ცუდი ორგანიზაციისა და სამუშაოს მოუმზადებლობის შედეგად სანახევროდაც არ არიან დატვირთულნი.

მარგანეცის მრეწველობის ამგვარად მუშაობა შეუწყნარებელია. ჭიათურაში მეტი მარგანეცის გამოღების ყველა პირობა არსებობს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის ყველა რეზერვი და შესაძლებლობა.

რაც შეიძლება ნაკლები ხმაური, პარადულობა და ფრაზიორობა; რაც შეიძლება მეტი მარგანეცი!—ასეთია ჩვენი მოთხოვნა.

სამშობლო მოითხოვს მეტსა და მაღალხარისხოვან მარგანეცს. ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნა!

მოსკოვიდან გაემგზავრა ლატვიის სამხედრო მინისტრი და არმიის სარდალი გენერალი ბერკისი

9 ივნისს მოსკოვიდან გაემგზავრა ლატვიის სამხედრო მინისტრი და არმიის სარდალი გენერალი ბერკისი, რომელსაც ახლავან პოლკოვნიკი ცელმინში, პოდპოლკოვნიკი ოსისი და ლატვიის სამხედრო ატაშე პოდპოლკოვნიკი ზალიტისი.

ოქტომბრის ვაგზალზე გენერალი ბერკისი გააცილეს: თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. ი. კულიკმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ნ. ბარკოვმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ვ. ა. რევიაკინმა, გენერალ-მაიორმა ნ. ი. დუბინინმა, სსრ კავშირის სამხედრო ატაშემ ლატვიაში პოლკოვნიკმა ა. ა. ზავიალოვმა, თავდაცვის კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსმა, პოლკოვნიკმა გ. ი. ოსეტროვმა, ლატვიის მისიის შემადგენლობამ დესპანის ბ-ნ კოცინშის მეთაურობით, ესტონეთის დესპანმა ბ-ნმა რეიმ და ლიტვის სამხედრო ატაშემ პოლკოვნიკმა მეშკაუსკასმა.

ვაგზლის პერონი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ლატვიის ალმებით, ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

მოვაწყოთ ბრძოლა სოფლის მეურნეობის მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ

მოსკოვი, 8 ივნისი (საკდესი). სსრ კავშირის მიწსახკომის კოლეგიამ სპეციალური სხდომა უძღვნა ნათესთა მოვლის საკითხებს. კოლეგიამ აღნიშნა, რომ სამიწათმოქმედო განყოფილებებს, მტს-ებს ჯერაც არ გაუჩაღებიათ სათანადო ბრძოლა იმისათვის, რომ სარეველა ბალახისა და სოფლის მეურნეობის მავნებლებისაგან დაიცვან ნათესები. სავსებით არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი ნათესების მოვლა კურსკის, ვორონეჟის, ორიოლის და კიევის ოლქებში და ორჯონიკიძის მხარეში.

მიწსახკომის კოლეგიამ დაავალა სამიწათმოქმედო ორგანოებს უზრუნველჰყონ, რომ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დროულად მოეწყოს ნათესთა გამარგვლა და სამწკრივთაშორისო დამუშავება. კოლმეურნეობებსა და მტს-ებში უნდა გაიგზავნოს რესპუბლიკების მიწსახკომებში, სამხარეო და საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილებებში, საცდელ სადგურებსა და სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტებში მომუშავე ყველა ენტომოლოგი.

ა. მ. გორკის ხსოვნას

18 ივნისს სრულდება დიდი პროლეტარული მწერლის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის გარდაცვალების ოთხი წლისთავი. მოსკოვის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის საამქროებში ეწყობა ლექციები, საუბრები, ა. მ. გორკის მხატვრულ ნაწარმოებთა წაკითხვა.

ცენტრალური ბიბლიოთეკა ამზადებს მკითხველთა საერთო საქარხნო კონფერენციას. კონფერენციაზე მოხსენებებს გააკეთებენ შემდეგ თემებზე: „გორკი ლენინისა და სტალინის მეგობარია“, „გორკი პუბლიცისტი“, „კაპიტალიზმის მხილება გორკის ნაწარმოებებში“, „ქალის სახე გორკის ნაწარმოებებში“ და სხვ.

ფეხსაცმლის ფაბრიკა „პარიზის კომუნაში“ 135 აგიტატორი, მესაუბრე და აქტივისტი მუშებისათვის აწყობს საუბრებს და ა. მ. გორკის ნაწარმოებთა წაკითხვას. დიდი წარმატებით სარგებლობს შემდეგი მოთხრობები „სტრასტი - მორდასტი“, „მალვა“, „დასკვნა“, „ადამიანის დაბადება“ და სხვ. გაფორმებულია დიდი მხატვრული გამოფენა, რომელიც ასახავს დიდი მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. დღითი-დღე მატულობს გორკის ნაწარმოებთა მოთხოვნილება. უკანასკნელი დეკადის განმავლობაში დაახლოებით 400 წიგნია გაცემული.

17 ივნისს შესდგება მკითხველთა კონფერენცია. გამოუშვებენ მრავალტირაჟიან და კედლის გაზეთების ნომრებს, რომლებიც მიძღვნილ იქნება გორკისადმი (საკდესი).

სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა დაჯილდოება ოქროს მედლებით

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის 1940 წლის 25 მაისის დადგენილებით სოფლის მეურნეობაში მუშაობის საუკეთესო ნიმუშებისათვის საქართველოდან დაჯილდოებულნი არიან:

ოქროს დიდი მედლით

ჯანიაშვილი ივანე მიხეილის-ძე, გორის რაიონის კოლმეურნეობა „განთიადის“ თავმჯდომარე.

ოქროს პატარა მედლით

დარჯანია სევერიან იულონის-ძე, ცხაკაიას რაიონის ძველი-სენაკის მელორეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი.

კაკულია ესტატე მაქსიმეს-ძე, ახბულაღის რაიონის სოფ. ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის უფროსი აგრონომი.

ფანცხავა დავით რომანის-ძე, მახარაძის რაიონის ლაითურის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი.

სამსონია ნიკოლოზ ნანიკოს-ძე, ქობულეთის რაიონის ლიმონ-მანდარინის ტრესტის ალამბრის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ჩადუნელი მარო ფრიდონის-ასული, კასპის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხის იმედის“ თავმჯდომარე.

ოქროს მედლებით დაჯილდოებულთ ამავე დროს მიეცემათ ფულადი პრემია: ოქროს დიდი მედლის მიღებისას—3.000 მანეთი და ოქროს პატარა მედლის მიღებისას—2.000 მანეთი.

გაიხსნა პლანერისტების მე-15 შეკრება

ტულა, 9 ივნისი (საკდესი). დღეს ტულაში გაიხსნა პლანერისტების სრულიად - საკავშირო XV შეკრება.

7 და 8 ივნისს პლანერისტებმა მოაწყეს საწრთვნელი შორფრენა.

საბჭოთა პლანერიზმის ოსტატებმა ამხ. კარტაშევმა და სავცოვმა თავიანთი უმოტორო საფრენი აპარატებით სწორი ხაზით 500-ზე მეტი კილომეტრი გაიარეს.

ქრონიკა

იტალიის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი როსო რომიდან ქ. მოსკოვს გაემგზავრა.

სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში ამხ. გორელკინი მოსკოვიდან ქ. რომს გაემგზავრა.

იტალიის ელჩი სსრ კავშირში და სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში ადგილზე მისვლისთანავე შეუდგებიან თავიანთ მოვალეობის ასრულებას.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ა. წ. 9 ივნისის ბრძანებით, საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის გენერალ - ლეიტენანტი **პ. ვ. რიჩაგოვი** დაინიშნა წითელი არმიის სამხედრო - საჰაერო ძალების უფროსის მოადგილედ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ა. მ. რედკინი** დანიშნა გემთმშენებლობის მრეწველობის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **პ. დ. პეტუხოვი** და **მ. ი. კორმილიცინი** შეიყვანა ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში.

წითელი არმიის უმაღლესი უფშემადგენლობისათვის სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება*

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მთავრობის კომისიის წინადადებანი წითელი არმიის უმაღლესი უფშემადგენლობის პირთათვის იმ სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით.

XIII.

მიენიჭოს გენერალ-მაიორის სახელწოდება:

191. მიხეილ პეტრეს-ძე **კონსტანტინოვს**,
192. ვასილ თომას-ძე **კონკოვს**,
193. პავლე პეტრეს-ძე **კორზუნს**,
194. ანდრია დიმიტრის-ძე **კორნეევს**,
195. ნიკოლოზ ვასილის-ძე **კორნეევს**,
196. ტიმოთე გაბრიელის-ძე **კორნეევს**,
197. ივანე ალექსის-ძე **კორნილოვს**,
198. ალექსანდრე ანდრიას-ძე **კორობკოვს**,
199. მიხეილ ფილიპეს-ძე **კოროლიოვს**,
200. თევდორე პეტრეს-ძე **კოროლს**,
201. კონსტანტინე აპოლონის-ძე **კოროტეევს**,
202. პავლე ალექსის-ძე **კოროჩკინს**,
203. პეტრე კონსტანტინეს-ძე **კორიტნიკოვს**,
204. ივანე სტეფანეს-ძე **კოსობუცკის**,
205. ვიქტორ ვასილის-ძე **კოსიაკინს**,
206. პეტრე ვასილის-ძე **კოტელკოვს**,
207. ლეონიდე ივანეს-ძე **კოტელნიკოვს**,
208. იაკობ გიორგის-ძე **კოტელნიკოვს**,
209. დიმიტრი ვასილის-ძე **კრამარჩუკს**,
210. სერგი ნიკოლოზის-ძე **კრასილნიკოვს**,
211. სიმონ მოსეს-ძე **კრივოშეინს**,
212. ტიმოთე პეტრეს-ძე **კრუგლიაკოვს**,
213. ალექსანდრე მარკოზის - ძე **კრუპენიკოვს**,
214. ალექსი ნიკოლოზის-ძე **კრუტიკოვს**,
215. ვლადიმერ ალექსის-ძე **კრილოვს**,
216. სერგი ნიკოლოზის-ძე **კრილოვს**,
217. ვლადიმერ ვიქტორის-ძე **კრიუკოვს**,
218. ვასილ დიმიტრის-ძე **კრიუჩენკინს**,
219. ალექსანდრე სერგის-ძე **კსენოფონტოვს**,
220. ალექსანდრე ივანეს-ძე **კუდრიაშევს**,
221. ბორის ინოკენტის-ძე **კუზნეცოვს**,
222. ვლადიმერ სტეფანეს-ძე **კუზნეცოვს**,
223. ივანე მიხეილის-ძე **კუზნეცოვს**,
224. მიხეილ ანდრიას-ძე **კუზნეცოვს**,
225. თევდორე კუზმას-ძე **კუზმინს**,
226. ალექსანდრე დემიანის-ძე **კულეშოვს**,
227. კონსტანტინე ექვთიმეს - ძე **კულიკოვს**,
228. პავლე სიმონის-ძე **კურბატკინს**,
229. ივანე დიმიტრის-ძე **კურმანოვს**,
230. მიხეილ პავლეს-ძე **კუტუზოვს**,
231. ნესტორ დართსპანის-ძე **ლაბაძეს**,
232. ვაცლავ ბრონისლავის - ძე **ლავრინოვიჩს**,
233. ივანე სიდორის-ძე **ლაზარენკოს**,
234. გიორგი ანდრიას-ძე **ლარიონოვს**,
235. ტიმოთე ვასილის-ძე **ლებედევს**.
236. ნიკიტა ფედოტის-ძე **ლებედენკოს**,
237. ნიკოლოზ არსენის-ძე **ლევიცკის**,
238. დიმიტრი დანიელის-ძე **ლელიუშენკოს**,
239. იოსებ ლეონტის-ძე **ლონოვიჩს**,
240. მაკარი თევდორეს-ძე **ლიპატოვს**,
241. პეტრე ერმილეს-ძე **ლოვიაგინს**,
242. ანტონ ივანეს-ძე **ლოპატინს**,
243. ილია მიხეილის-ძე **ლიუბოვცევს**,
244. ივანე სიმონის-ძე **ლიუბის**,
245. ალექსანდრე დიმიტრის - ძე **ლიუტოვს**,
246. პეტრე ივანეს-ძე **ლიაპინს**,
247. ალექსანდრე ივანეს-ძე **მავრიჩევს**,
248. ივანე ალექსის-ძე **მაკარენკოს**,
249. პეტრე გრიგოლის-ძე **მაკაროვს**,
250. ვასილ ივანეს-ძე **მაქსიმოვს**,
251. მიხეილ თევდორეს-ძე **მალეევს**,
252. როდიონ იაკობის-ძე **მალინოვსკის**,
253. ილია კონსტანტინეს-ძე **მალცევს**,
254. ივანე მეთოდის-ძე **მანაგაროვს**,
255. აკიმ მარკოზის-ძე **მარკოვს**,
256. ალექსანდრე ალექსის-ძე **მარტიანოვს**,
257. მიხეილ პეტრეს-ძე **მარჩენკოვს**,
258. ივანე ივანეს-ძე **მარშალკოვს**,
259. პეტრე იოსების-ძე **მატვეენკოს**,
260. ფილიპე ნიკოლოზის-ძე **მატიკინს**,
261. ვლადიმერ არსენის-ძე **მელიქოვს**,
262. გიორგი ნიკოლოზის-ძე **მიკუშევს**,
263. მიხეილ პავლეს-ძე **მილოვსკის**,
264. ლეონიდე თევდორეს-ძე **მინიუკს**,
265. ივანე პროკოფის-ძე **მიხაილინს**,
266. მიხეილ ერმილეს-ძე **მიხაილოვს**,
267. სილა მოსეს-ძე **მიშჩენკოს**,
268. ევდოკიმ ანდრიას-ძე **მოგილევჩიკს**,
269. სიმონ თევდორეს-ძე **მოჟაევს**,
270. ანატოლი მარკიანის-ძე **მოროზოვს**,
271. სტეფანე ილიას-ძე **მოროზოვს**,
272. ალექსანდრე გრიგოლის - ძე **მოტოვს**,
273. მიხეილ აკიმის-ძე **მიასნიკოვს**,
274. ნიკოლოზ ნიკიფორეს-ძე **ნაგორნის**,
275. ვასილ ივანეს-ძე **ნაიდენოვს**,
276. ანდრია ზინობის-ძე **ნაუმოვს**,
277. სიმონ ივანეს-ძე **ნედვიგინს**,
278. ვასილ ივანეს-ძე **ნერეტინს**,
279. ვიტალი ნიკოლოზის-ძე **ნესმელოვს**,
280. ანდრია გრიგოლის-ძე **ნიკიტინს**,
281. ივანე სიმონის-ძე **ნიკიტინს**,
282. ივანე თევდორეს-ძე **ნიკიტინს**,
283. ნიკოლოზ ლავრენტის-ძე **ნიკიტინს**,
284. ანატოლი ალექსანდრეს - ძე **ნიკიფოროვს**,
285. დიმიტრი ნიკიტას-ძე **ნიკიშევს**,
286. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **ნიკიშინს**,
287. ივანე თევდორეს-ძე **ნიკოლაევს**,
288. ნიკოლოზ პეტრეს-ძე **ნიკოლსკის**,
289. კონსტანტინე ეგნატეს-ძე **ნოვიკს**,
290. ვასილ ვასილის-ძე **ნოვიკოვს**,
291. მიხეილ კუზმას-ძე **ნოზდრუნოვს**,
292. ნიკოლოზ კაზიმირის-ძე **ნორეიკოს**,
293. სტეფანე ილიას-ძე **ობორინს**,
294. ვიქტორ ტიმოთეს-ძე **ობუხოვს**,
295. მიხეილ ნიკოლოზის-ძე **ოვჩინიკოვს**,
296. სერგი იაკობის-ძე **ოგურცოვს**,
297. ნიკოლოზ ივანეს-ძე **ორლოვს**,
298. ვასილ ფედოტის-ძე **პავლოვს**,
299. ანტონ ალექსანდრეს-ძე **პავლოვიჩს**,
300. ილია ვასილის-ძე **პანინს**,
301. რომან ივანეს-ძე **პანინს**,
302. ივანე ვასილის-ძე **პანფილოვს**,
303. ვასილ ვასილის-ძე **პანრუხოვს**,
304. ალექსანდრე ივანეს-ძე **პასტრევიჩს**,
305. ივანე ქრისტიანის-ძე **პაუკას**,
306. გაბრიელ ალექსანდრეს - ძე **პეტროვს**,
307. დანიელ ექვთიმეს-ძე **პეტროვს**,
308. ივანე ალექსის-ძე **პეტროვს**,
309. ივანე ექვთიმეს-ძე **პეტროვს**,
310. კონსტანტინე ივანეს-ძე **პეტროვს**,
311. მაკარი ივანეს-ძე **პეტროვს**,
312. მიხეილ პეტრეს-ძე **პეტროვს**,
313. ბორის ალექსის-ძე **პისარევიჩს**,
314. დიმიტრი სიმონის-ძე **პისარევსკის**,
315. ნიკოლოზ ივანეს-ძე **პლიუსნინს**,
316. სტეფანე ივანეს-ძე **პოვეტკინს**,
317. ბორის ანდრიას-ძე **პოგრებოვს**,
318. ალექსანდრე პეტრეს-ძე **პოკროვსკის**,
319. პავლე გრიგოლის-ძე **პონედელინს**,
320. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **პოპოვს**,
321. ვასილ სტეფანეს-ძე **პოპოვს**,
322. დიმიტრი თევდორეს-ძე **პოპოვს**,
323. მათე ტიმოთეს-ძე **პოპოვს**,
324. მიხეილ ანდრიანის-ძე **პოპოვს**,
325. ივანე ანდრიას-ძე **პრესნიაკოვს**.
326. პეტრე ფროლის-ძე **პრივალოვს**,
327. მიხეილ ანდრიას-ძე **პრონინს**,
328. ნიკოლოზ ნილოსის-ძე **პრონინს**,
329. ეგნატე ვასილის-ძე **პროსტიაკოვს**,
330. ვასილ ივანეს-ძე **პროხოროვს**,
331. მიხეილ მაქსიმეს-ძე **პროცვეტკინს**,
332. ნიკოლოზ ეგნატეს-ძე **პროშკინს**,
333. მიხეილ ივანეს-ძე **პუზირევს**,
334. ალექსანდრე დიმიტრის - ძე **პულკო - დიმიტრიევს**,
335. ნიკოლოზ პავლეს-ძე **პუხოვს**,
336. კონსტანტინე ივანეს-ძე **რაკუტინს**,
337. ვასილ ანდრიას-ძე **რევიაკინს**,
338. ბორის სტეფანეს - ძე **რიხტერს**,
339. ალექსანდრე ანტონის-ძე **როგოვსკის**,
340. ზინობი ზაქარიას-ძე **როგოზნის**,
341. ანატოლი ნიკოლოზის-ძე **როზანოვს**,
342. კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე **როკოსოვსკის**,
343. მიხეილ ტიმოთეს-ძე **რომანოვს**,
344. თევდორე ნიკოლოზის-ძე **რომანოვს**,
345. იოსებ გრიგოლის-ძე **რუბინს**,
346. პეტრე ნიკოლოზის-ძე **რუბცოვს**,
347. თევდორე დიმიტრის-ძე **რუბცოვს**,
348. ზაქარია იაკობის-ძე **რუდაკოვს**,
349. პეტრე ლუკას-ძე **რუდჩუკს**,
350. ალექსანდრე დიმიტრის - ძე **რუმიანცევს**,
351. ივანე ნიკიტას-ძე **რუსიანოვს**,
352. პავლე სიმონის-ძე **რიბალკოს**,
353. ალექსანდრე ივანეს-ძე **რიჟოვს**,
354. მიხეილ მირონის-ძე **რინძიუნსკის**,
355. ივანე სტეფანეს-ძე **სავინოვს**,
356. მიხეილ სერგის-ძე **საუშკინს**,
357. მარკის ბიკმულის-ძე **სალიხოვს**,
358. ალექსანდრე გიორგის-ძე **სამოხინს**,
359. დიმიტრი პოტაპის-ძე **საფონოვს**,
360. სიმონ პავლეს-ძე **სახნოვს**,
361. კარლ კარლის-ძე **სვერჩევსკის**,
362. დიმიტრი მიხეილის-ძე **სელეზნიოვს**,
363. ვასილ ალექსის-ძე **სელივერსტოვს**,
364. ვალენტინ ვლადისლავის - ძე **სემაშკოს**,
365. ივანე იოსების-ძე **სემიონოვს**,
366. თევდორე იაკობის-ძე **სემიონოვს**,
367. ვასილ ფადეის-ძე **სერგაცკის**,
368. ანდრია ნიკანორის-ძე **სიდელნიკოვს**,
369. ტიხონ კონსტანტინეს-ძე **სილკინს**,
370. ვიტალი ნიკოლოზის-ძე **სიმვოლოკოვს**,
371. კუზმა რომანის-ძე **სინილოვს**,
372. ალექსანდრე საველის-ძე **სიროტკინს**,
373. მიხეილ ანდრიას-ძე **სირიაჩენკოს**,
374. ივანე ივანეს-ძე **სკვორცოვს**,
375. ივანე მიხეილის-ძე **სკუგარევს**,
376. თევდორე ნიკანდრის-ძე **სმეხოტვოროვს**,
377. ვასილ ანდრიას-ძე **სმირნოვს**,
378. პავლე სტეფანეს-ძე **სმირნოვს**,
379. სერგი ალექსანდრეს-ძე **სმირნოვს**,
380. მიხეილ გიორგის-ძე **სნეგოვს**,
381. პეტრე პეტრეს-ძე **სობენიკოვს**,
382. ივანე გერასიმეს-ძე **სოვეტნიკოვს**,
383. ალექსანდრე იაკობის-ძე **სოკოლოვს**,
384. გიორგი ილიას-ძე **სოკოლოვს**,
385. ნიკოლოზ ალექსანდრეს - ძე **სოკოლოვს**,
386. ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე **სოლოვიოვს**,
387. ფილიპე იაკობის-ძე **სოლოვიოვს**,
388. პეტრე ვასილის - ძე **სოროკინს**,
389. სიმონ ამბაკოს-ძე **სპილნიჩენკოს**,
390. ფილიპე ნიკანორის-ძე **სტარიკოვს**,
391. ნიკოლოზ პავლეს-ძე **სტახანოვს**,
392. ალექსანდრე მიხეილის - ძე **სტეპანოვს**,
393. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **სტრიჟენკოს**,
394. ალექსი ივანეს-ძე **სუბოტინს**,
395. თევდორე პავლეს-ძე **სუდაკოვს**,
396. ალექსანდრე ვასილის-ძე **სუხომლინს**,
397. ფილიპე გრიგოლის-ძე **სუშჩის**,
398. პავლე ვასილის-ძე **სისოევს**,
399. ალექსი ალექსანდრეს-ძე **ტარასოვს**,
400. ვალენტინე ვალენტინის - ძე **ტარხოვს**,
401. ალექსი დიმიტრის-ძე **ტერეშკოვს**,
402. ბორის რობერტის-ძე **ტერპილოვსკის**,
403. გრიგოლ ტიმოთეს-ძე **ტიმოფეევს**,
404. სერგი პროკოფის-ძე **ტიმოშკოვს**,
405. ვლადიმერ ვასილის-ძე **ტიხომიროვს**,
406. პავლე გიორგის-ძე **ტიხომიროვს**,
407. სიმონ აკიმის-ძე **ტკაჩენკოს**,
408. ივანე მიხეილის-ძე **ტოკარევს**,
409. თევდორე ივანეს-ძე **ტოლბუხინს**,
410. იაკობ ივანეს-ძე **ტონკონოგოვს**,
411. სერგი გიორგის-ძე **ტროფიმენკოს**,
412. ექვთიმე გრიგოლის-ძე **ტროცენკოს**,
413. ივანე ივანეს-ძე **ტრუტკოს**,
414. თევდორე ივანეს-ძე **ტრუხინს**,
415. ვასილ ივანეს-ძე **ტუპიკოვს**,

---

*) (გაგრძელება. დასაწყისი იხ. 6, 8, 9 და 10 ივნისის „კომუნისტის“ ნომრებში).

სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი უფშემადგენლობისათვის სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება*

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მთავრობის კომისიის წინადადებანი სამხედრო - საზღვაო ფლოტის უმაღლესი უფშემადგენლობის პირთათვის იმ სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით.

IV.

მიენიჭოს ინჟინერ - კონტრ-ადმირალის სახელწოდება:

16. ბორის პავლეს-ძე **ხლიუსტინს**,
17. ალექსანდრე პავლეს-ძე **შერშოვს**.

V.

მიენიჭოს ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის სახელწოდება:

1. სიმონ თევდორეს-ძე **ჟავორონკოვს**.

VI.

მიენიჭოს სანაპირო სამსახურის გენერალ - ლეიტენანტის სახელწოდება:

1. სერგი ილიას-ძე **ვორობიოვს**,
2. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **მატუსევიჩს**,
3. ინოკენტი სტეფანეს-ძე **მუშნოვს**.

VII.

მიენიჭოს ავიაციის გენერალ-მაიორის სახელწოდება:

1. ალექსანდრე ხარიტონის - ძე **ანდრეევს**,
2. ვასილ ვასილის-ძე **ერმაჩენკოვს**,
3. პავლე პავლეს-ძე **კვადეს**,
4. თევდორე გრიგოლის-ძე **კორობკოვს**,
5. ალექსანდრე ალექსის-ძე **კუზნეცოვს**,
6. პეტრე ნიკოლოზის-ძე **ლემეშკოს**,
7. ნიკოლოზ ალექსის-ძე **ოსტრიაკოვს**,
8. ნიკოლოზ ტროფიმეს-ძე **პეტრუხინს**,
9. ივანე ვასილის-ძე **როჟკოვს**,
10. ვიქტორ ანტონის-ძე **რუსაკოვს**,
11. მიხეილ ივანეს-ძე **სამოხინს**,
12. სტანისლავ ედუარდის - ძე **სტოლიარსკის**,
13. ვასილ ვასილის-ძე **სუვოროვს**,
14. ალექსანდრე ვასილის-ძე **ციროულევს**.

VIII

მიენიჭოს სანაპირო სამსახურის გენერალ - მაიორის სახელწოდება:

1. ნიკოლოზ ვასილის-ძე **არსენიევს**,
2. პეტრე სიმონის-ძე **ბრონევიცკის**,
3. გრიგოლ ტიმოთეს-ძე **გრიგორიევს**,
4. ივანე ვასილის-ძე **გრიშინს**,
5. ივანე კონსტანტინეს-ძე **გუსევს**,
6. ალექსი ბორისის-ძე **ელისეევს**,
7. სერგი ივანეს-ძე **კაბანოვს**,
8. ივანე ნიკოლოზის-ძე **კუზმიჩევს**,
9. მიხეილ თევდორეს-ძე **კუმანინს**,
10. ივანე ბიკენტის-ძე **მალახოვსკის**,
11. მიტროფანე ივანეს-ძე **მოსკალენკოს**,
12. ვასილ ალექსის-ძე **პავლოვს**,
13. ალექსი ნიკოლოზის-ძე **ტატარინოვს**,
14. ვლადიმერ ვასილის-ძე **ფადიუნინს**.

IX.

მიენიჭოს საინტენდანტო სამსახურის გენერალ - მაიორის სახელწოდება:

1. ალექსანდრე კლავდის-ძე **კუპრეევს**,
2. სიმონ პავლეს-ძე **იაზიკოვს**.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
მ. ხლომოვი.

მოსკოვი, კრემლი 1940 წლის 4 ივნისი.

---

*) (გაგრძელება. დასაწყისი იხ. 6, 8, 9 და 10 ივნისის „კომუნისტის“ ნომრებში).

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-3 სესია

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილის მოხსენება

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ზოგიერთი მუხლის ცვლილებისა და დამატებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია II და III სესიების შუაპერიოდში



ამხანაგებო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

1940 წლის 31 მარტი ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში დიდი ისტორიული მოვლენით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებით აღინიშნა: ამ დღეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიამ ერთხმად მიიღო კანონი კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გარდაქმნისა მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. **(მქუხარე ტაში).**

ამიერიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ერთ მჭიდრო, თავისუფალ ხალხთა მეგობრულ ოჯახად აერთიანებს უკვე თორმეტს თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკას.

მაგრამ ახალი მოძმე რესპუბლიკის შექმნის დიდი სახელმწიფოებრივი აქტი შედეგი არ არის მხოლოდ საკანონმდებლო შემოქმედებისა.

ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ, სამხედრო-საზღვაო ფლოტმა და ავიაციამ შემუსრეს არა მარტო თეთრი ფინეთის ჯარები, არამედ ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების გაერთიანებული ძალებიც, რომლებიც მანერჰაიმის ურდოებს დიდძალი იარაღით ეხმარებოდნენ: არტილერიით, ტყვიამფრქვევებით, ზარბაზნებით, თვითმფრინავებით, ყოველგვარი საომარი საჭურველითა და ასაზრდოებდნენ ცოცხალი ძალით, ეგრეთწოდებული „მოხალისეების“ სახით.

ჩვენმა ძლევამოსილმა წითელმა არმიამ გაანადგურა საომარ მოქმედებათა პლაცდარმი, რომელსაც სოციალიზმის ქვეყნის სიძულვილით ამოძრავებული იმპერიალისტური სახელმწიფოები მრავალი წლის მანძილზე ჰქმნიდნენ და ამზადებდნენ საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე თავდასასხმელად.

სოციალისტური სამშობლოს დიადი სიყვარულით ფრთაასხმულმა წითელი არმიის მებრძოლებმა ნაცარტუტად აქციეს მსოფლიოს უდიდესი პროლეტარული ცენტრის — ლენინგრადის მისასვლელთან აღმართული მიუვალად აღიარებული რკინა-ფოლადის სიმაგრეები.

ტერიტორია, რომელიც საბჭოთა ქვეყნის მიმართ ბურჟუაზიული სახელმწიფოების მტრული მოქმედების სარბიელად იყო გადაქცეული, საბოლოოდ არის შემომტკიცებული ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლოს განუყრელ ნაწილად.

და იქ, სადაც დღევანდლამდე ომის ჩაუქრობელი კერა ღვიოდა და იმპერიალისტების შავბნელ ზრახვათა განაღდების მაცდუნებელი იმედი საზრდოს პოულობდა, ახლა შექმნილი არის მტკიცე ბურჯი მშვიდობიანობისა და ჩვენი ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების უშიშროებისა.

ფინელი მემამულეებისა და კაპიტალისტების მძიმე უღელქვეშ მგმინავი მშრომელი ხალხის ოფლითა და სისხლით მორწყულს ამ მიწაწყალზედაც დღეს ხორცს ისხამს ის ძირითადი პრინციპი, რომელიც საფუძვლად აქვს დადებული მრავალერიანი სოციალისტური სახელმწიფოს წყობილებას — პრინციპი ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ეროვნების თავისუფალი განვითარებისა, პრინციპი ყველა დიდი და მცირე ერის ძალთა თავისუფალი შემოქმედებითი სახელმწიფოებრივი გაშლა-გაფურჩქვნისა.

განსახორციელებლად სწორედ ამ პრინციპისა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომელშიც ნათქვამია:

„აკმაყოფილებს რა კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა სურვილს და, ხელმძღვანელობს რა ეროვნებათა თავისუფალი განვითარების პრინციპით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. ტერიტორია, რომელიც სსრ კავშირისა და ფინეთის 1940 წლის 12 მარტის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე ფინეთისაგან სსრ კავშირის ხელში გადმოვიდა, გარდა მცირეოდენი ზოლისა, რომელიც უშუალოდ ეკვრის ლენინგრადს, გადაცემულ იქნას კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, მათ შორის გადაცემულ იქნას ქალაქები: ვიბორგი, ანტრეა, კექსჰოლმი, სორტავალა, სუოიარვი და კუოლაიარვი.

2. კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გარდაიქმნას მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად“.

სსრკ უმაღლესი საბჭოს VI სესიის მიერ მიღებული კანონის თანახმად, შეტანილია დამატება სსრკ კონსტიტუციის მე-13 მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის საკავშირო სახელმწიფო, შექმნილი თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე, და იქვე დასახელებულია გაერთიანებული მოკავშირე რესპუბლიკები.

ამის შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს III სესიამ დამატება უნდა შეიტანოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-13 მუხლში, რომელიც ამიერიდან ასე უნდა გამოიხატოს:

„**მუხლი 13.** ეკონომიური და პოლიტიკური ხაზით, ისე როგორც თავდაცვის ხაზით ურთიერთი დახმარების განსახორციელებლად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ნებაყოფლობით გაერთიანდა თანასწორუფლებიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან: რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, კარელია-ფინეთის სსრ-თან საკავშირო სახელმწიფოში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ამისდა მიხედვით, საქართველოს სსრ უზრუნველჰყოფს სსრ კავშირისათვის, მისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით, სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლით განსაზღვრულ უფლებებს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლებს გარეშე, საქართველოს სსრ ახორციელებს სახელმწიფო ძალაუფლებას დამოუკიდებლად და ინარჩუნებს სრულიად თავის სუვერენულ უფლებებს“.

O

1940 წლის 14 აპრილს ათი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა რევოლუციის მგზნებარე პოეტი, სიტყვის დიდი ოსტატი და დიდი მოქალაქე ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკი, რომელიც ხალხთა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა** ასე დაახასიათა:

„მაიაკოვსკი იყო და რჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო უნიჭიერეს პოეტად“.

როგორც მოგეხსენებათ, ვლადიმერ მაიაკოვსკი დაიბადა და თავისი ბავშვობა გაატარა სოფ. ბაღდათში, ქუთაისის მახლობლად.

მაიაკოვსკის გარდაცვალების ათი წლისთავის აღსანიშნავად და საქართველოს სსრ ბაღდათის რაიონის კოლმეურნეთა და მშრომელთა თხოვნის დასაკმაყოფილებლად სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა.-წ. 13 აპრილის ბრძანებულებით ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკის სამშობლო სოფელს ბაღდათს სოფელი მაიაკოვსკი დაერქვა და ბაღდათის რაიონს — მაიაკოვსკის რაიონი.

ამის შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს III სესიამ ცვლილება უნდა შეიტანოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-19 მუხლში, სადაც ჩამოთვლილია საქართველოს სსრ შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი, რაიონები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები; მე-19 მუხლი ამ ცვლილების შემდეგ ასე გამოიხატება:

„**მუხლი 19.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან; აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ალბულაღის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ვანის, ზემო-სვანეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თბილისის, თელავის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის, მაიაკოვსკის, მახარაძის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ქვემო-სვანეთის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყარაიის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, ქუთაისისა და ფოთისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

O

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს II სესიაზე სახალხო კომისარიატებისა და ადმინისტრატიულ-ტერიტორიული ორგანიზაციების დაწვრილერთეულებაზე ლაპარაკის დროს მე წაგიკითხეთ ციტატა ამხანაგ სტალინის მოხსენებიდან საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XVIII ყრილობაზე, მოგაგონებთ ამხანაგ **სტალინის** სიტყვებს:

„დაწვრილერთეულება მიმდინარეობდა როგორც სახალხო კომისარიატების ხაზით, ისე ადმინისტრატიულ-ტერიტორიული ორგანიზაციების ხაზით...

...არ შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციების დაწვრილერთეულების საქმე უკვე დამთავრებულია. ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ დაწვრილერთეულება შემდეგშიც გაგრძელდება. მაგრამ, რაც უნდა იყოს, იგი უკვე იძლევა თავის კარგ შედეგებს როგორც მუშაობის ყოველდღიური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მხრივ, ისე თვით ხელმძღვანელობის ძირეულ კონკრეტულ მუშაობასთან მიახლოების მხრივაც. მე აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ორგანიზაციების დაწვრილერთეულებამ შესაძლებლობა მოგვცა ასობით და ათასობით ახალი ადამიანები დაგვეწინაურებინა ხელმძღვანელ სამუშაოზე“.

როგორც II სესიაზედაც მოგახსენეთ, ამხანაგ სტალინის მითითების განსახორციელებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით შეიქმნა ზოგიერთი ახალი რაიონი და ახალი სახალხო კომისარიატი.

II სესიის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 23 აგვისტოს ბრძანებულებით მსუბუქი მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი ორ კომისარიატად გაიყო:

1. საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატად და
2. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატად.

პრეზიდიუმს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში დასამტკიცებლად შემოაქვს ახალი სახალხო კომისარიატის — საფეიქრო მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნა. ამის შესაბამისად, საჭიროა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50 და 55 მუხლებში დამატების შეტანა.

ვაქვეყნებ ტექსტს პროექტისას საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50 და 55 მუხლების იმ დამატების შესახებ, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებიდან მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორ კომისარიატად გაყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს შექმნა საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა.

ამის შესაბამისად, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლები შემდეგნაირად გამოიხატოს:

„**მუხლი 50.** საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ჰქმნის საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისრები:

კვების მრეწველობისა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
საფეიქრო მრეწველობისა;
სატყეო მრეწველობისა;
მიწათმოქმედებისა;
მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა;
ფინანსთა;
ვაჭრობისა;
შინაგან საქმეთა;
იუსტიციისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
განათლებისა;
ადგილობრივი მრეწველობისა;
კომუნალური მეურნეობისა;
საავტომობილო ტრანსპორტისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი;
საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი;
საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი“.

„**მუხლი 55.** საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები არიან სახალხო კომისარიატები:

კვების მრეწველობისა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
საფეიქრო მრეწველობისა;
სატყეო მრეწველობისა;
მიწათმოქმედებისა;
მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა;
ფინანსთა;
ვაჭრობისა;
შინაგან საქმეთა;
იუსტიციისა;
ჯანმრთელობის დაცვისა“.

O

დასაზუსტებლად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 87 მუხლის რედაქციისა, სადაც ლაპარაკია მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოებისა და ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოების საარჩევნო ნორმებზე, აგრეთვე დასაზუსტებლად 94 მუხლის რედაქციისა, სადაც ლაპარაკია მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებზე, შემოტანილია შემდეგი წინადადება:

დაზუსტდეს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 87 და 94 მუხლების რედაქცია შემდეგნაირად:

„**მუხლი 87.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები აირჩევიან ნორმით:

იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 12.000 კაციდან 100.000 კაცამდეა, — 1 დეპუტატი 350 მცხოვრებზე; იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 12.000 კაცამდეა, — 35 დეპუტატი;

ქალაქ თბილისში — 1 დეპუტატი 1.000 მცხოვრებზე.

მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოები აირჩევიან ნორმით:

იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა 20.000 კაცზე მეტია, — 1 დეპუტატი 500 მცხოვრებზე, მაგრამ არა უმეტეს 250 დეპუტატისა; იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა 20.000 კაცამდეა, 35 დეპუტატი“.

„**მუხლი 94.** მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები მცირე დაბებსა და სოფლებში არიან ამ საბჭოების მიერ არჩეული თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს II და III სესიების შუაპერიოდის მანძილზე ახალი სახალხო კომისარიატის შექმნისა და ზოგიერთი სახალხო კომისრის განთავისუფლების გამო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების თანახმად, მოხდა სახალხო კომისრების დანიშვნა.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 36 მუხლის შესაბამისად, პრეზიდიუმს სესიის დასამტკიცებლად შემოაქვს შემდეგი ბრძანებულებანი, რომლებითაც საქართველოს სსრ სახალხო კომისრებად დანიშნული არიან:

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრად — გიორგი ანდრიას-ძე ჯაზუა;

საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრად — ლონგინოზ ალექსანდრეს-ძე რუხაძე;

საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისრად — პეტრე გიორგის-ძე როთველაძე;

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრად — ლავრენტი ივანეს-ძე ჩიბურდანიძე;

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულად საქართველოს სსრ-ში — იასონ ნიკოლოზის-ძე ნადარაია.

O

1924 წლის 29 ოქტომბერს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცეს დებულება საკავშირო მოქალაქეობის შესახებ (სსრკ კანონთა კრებული, 1924 წელი № 23, მუხლი 202).

1928 წლის 21 მარტს გამოვიდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „უცხოელ მოქალაქეთა მიერ სსრ კავშირის მოქალაქეთა შვილების შვილად აყვანის შესახებ“. ამ დადგენილებით 1924 წლის 29 ოქტომბრის დებულებას დაემატა 6^1 მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა უცხოელ მოქალაქეთაგან ნაშვილევ პირთა მოქალაქეობას; ამავე დროს მოკავშირე რესპუბლიკებს საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსში უნდა გაეთვალისწინებინათ შესაძლებლობა იმისა, რომ უცხოელ მოქალაქეებს ეშვილნათ საბჭოთა მოქალაქეების შვილები, მაგრამ სპეციალური ნებართვის მიღებით.

ამ დადგენილების შესაბამისად „საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის“ 77 მუხლი აწესებდა, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეს შეეძლო შვილად აეყვანა საბჭოთა მოქალაქის შვილი შემდეგი შეზღუდვით:

თუ შვილად ამყვანი მუშათა კლასს ან ისეთ გლეხთა წრეს ეკუთვნოდა, რომლებიც სხვის შრომას არ იყენებდნენ, — ამ შემთხვევაში საჭირო იყო სპეციალური ნებართვა იმ რაიონის აღმასრულებელი კომიტეტისა, სადაც შვილად ასაყვანი ცხოვრობდა;

თუ შვილად ამყვანი მშრომელთა ზემოაღნიშნულ კატეგორიას არ ეკუთვნოდა, — ამ შემთხვევაში საჭირო იყო სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვა.

წაგიკითხავთ „საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის“ ამ მუხლს:

„**მუხლი 77.** შვილად აყვანა საბჭოთა მოქალაქის შვილისა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელი მოქალაქის მიერ, უკეთუ ეს უკანასკნელი ეკუთვნის მუშათა კლასს ან ისეთ გლეხთა წრეს, რომლებიც სხვის შრომას არ იყენებენ, შეიძლება ამა თავით (იგულისხმება კოდექსის VII თავი) გათვალისწინებული წესების დაცვით; ამას გარდა, აუცილებლად საჭიროა ყოველ ცალკე შემთხვევაში იმ ადგილის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური ნებართვა, სადაც შვილად ასაყვანი ცხოვრობს; უკეთუ შვილად აყვანის მსურველი უცხოელი მოქალაქე მშრომელთა ზემოაღნიშნულ კატეგორიებს არ ეკუთვნის, საჭიროა სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვა“.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1938 წლის 19 აგვისტოს მიიღო კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“. ამ კანონში გათვალისწინებული აღარ არის, რომ საერთოდ უცხოელ მოქალაქეს უფლება ჰქონდეს შვილად აიყვანოს სსრ კავშირის მოქალაქის შვილი.

გარდა ამისა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განმარტა:

ის გარემოება, რომ 1938 წლის 19 აგვისტოს კანონში „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ გათვალისწინებული არ არის უცხოელი მოქალაქის მიერ შვილად აყვანა საბჭოთა მოქალაქის შვილისა, გაგებულ უნდა იქნას იმ აზრით, რომ უცხოელ მოქალაქეებს ეს უფლება აღარა აქვთ.

ამის შესაბამისად „საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის“ 77 მუხლი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 20 ოქტომბრის ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა.

შემომაქვს წინადადება:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 20 ოქტომბრის ბრძანებულება „საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის“ 77 მუხლის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

O

აი საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის ის ცვლილებანი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ის ბრძანებულებანი, რომლებიც შემოტანილია დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს III სესიაზე.

სხვა ცვლილებებსა და დამატებებთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები განსაკუთრებული კმაყოფილებით დაამტკიცებენ საქართველოს სსრ კონსტიტუციის იმ მუხლის შევსებას, რომელიც აღნუსხავს მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მჭიდრო ოჯახად შეკავშირებას და რომელშიც ამიერიდან აღბეჭდილი იქნება სახელი ახალი მოძმისა — კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა.

ამ აქტის დამტკიცებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გაერთიანებული იქნება მეთორმეტე მოკავშირე რესპუბლიკასთანაც ეკონომიური, პოლიტიკური და თავდაცვითი ურთიერთდახმარების განსახორციელებლად, სოციალისტური შრომისა და სახელმწიფოებრივი შემოქმედებითი მუშაობის ყველა ფრონტზე ახალ-ახალი გამარჯვების მოსაპოვებლად საკავშირო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა დიდი ბელადისა და რევოლუციის სწორუპოვარი მესაჭის ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით.

დიდება და მუდამ გამარჯვება **სტალინს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან).**

დიდება და მუდამ გამარჯვება **მოლოტოვს, ბერიას** და ბელადის ყველა თანამებრძოლს!

(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

კამათი საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ გ. კიკნაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა კავშირის ძლიერების ზრდასთან ერთად შეუჩერებლივ იზრდება საქართველოს სსრ ბიუჯეტიც. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. ამ ბიუჯეტით სახალხო განათლებაზე დაიხარჯება 575.679.300 მანეთი, აქედან მხოლოდ განსახკომის ხაზით დაიხარჯება 401.486.900 მანეთი. სახალხო განათლების ბიუჯეტი საქ. სსრ ბიუჯეტის 47 პროცენტამდე აღწევს.

წელს საქართველოს ყველა ტიპის სასწავლებლებში 791.000 მოსწავლე სწავლობს, ხოლო სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი ბიუჯეტი შესაძლებლობას იძლევა მომავალი სასწავლო წლიდან ამ სკოლებში ისწავლოს 866.880 მოსწავლემ. ამრიგად, ერთი წლის განმავლობაში მოსწავლეთა რიცხვი 75.880-ით გაიზრდება. ახლა საერთო განათლების და სპეციალურ სკოლებში ყველა უწყების ხაზით 32.240 მასწავლებელია, მათ შორის უმაღლესი განათლებით — 10.000. ჩვენს უმაღლეს სკოლებში 2.500-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი მუშაობს.

მომავალი სასწავლო წლიდან გათვალისწინებულია სასკოლო ქსელის მნიშვნელოვანი ზრდა. გაიხსნება 71 დაწყებითი სკოლა, 232 დაწყებითი სკოლა გადაკეთდება არასრულ საშუალო სკოლებად, ხოლო 110 არასრული საშუალო სკოლა — საშუალო სკოლებად. ამრიგად, მომავალი წლიდან გვექნება 5.000-მდე სკოლა.



გასულ წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოვიპოვეთ სასკოლო მშენებლობის დარგში. აშენდა 93 ახალი სასკოლო შენობა 22.525 მოსწავლისათვის.

დიდად იზრდება სახალხო განათლების ხარჯები თვითეულ მცხოვრებზე. მაგალითად, 1932 წელს თვითეულ მცხოვრებზე 24 მანეთი იხარჯებოდა, 1937 წელს — 112 მანეთამდე, ხოლო 1940 წელს 163 მანეთი დაიხარჯება.

1940 წლის ბიუჯეტის განხილვასთან დაკავშირებით სესიაზე მინდა დავაყენო რამდენიმე საკითხი:

1. გასულ წელს სკოლის გარეთ დარჩენილ და სკოლას ჩამოშორებულ ბავშვთა რაოდენობა 33.000-ს აღწევდა. სახელმწიფოს მიერ გაღებული თანხებით, რასაკვირველია, შეიძლებოდა ყველა ამ ბავშვის სკოლაში ჩაბმა, მაგრამ ჩვენი ცუდი მუშაობის შედეგად ეს ბავშვები სკოლის გარეთ დარჩნენ. ეს გარემოება განათლების ორგანოებთან ერთად ადგილობრივი საბჭოებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს ავალებს უფრო მეტი გულისხმიერებით და პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ უდიდეს ამოცანას — საყოველთაო სავალდებულო სწავლების უნაკლოდ გატარებას.

2. წელს სოფლად და ქალაქად უნდა აშენდეს 132 ახალი სასკოლო შენობა 31.700 მოსწავლისათვის. სასკოლო მშენებლობაზე 23.856.900 მანეთი დაიხარჯება. უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო მშენებლობა დღემდე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. გამოირკვა, რომ წითელწყაროს, გეგეჭკორის, მახარაძის, ონის და სხვა რაიონები დროულად ვერ აფინანსებენ სასკოლო მშენებლობას, ვერ ამარაგებენ მას მასალით და სამშენებლო მასალას განსახკომისაგან მოითხოვენ, მაშინ როცა მისი გამონახვა თითქმის ყველა რაიონს შეუძლია.

3. მასწავლებელთა ხელფასის ფონდი ადგილობრივ ბიუჯეტით უდრის 132.321.000 მანეთს, რაც სახალხო განათლებისათვის განკუთვნილი თანხების 40 პროცენტს შეადგენს. ამ ფონდის სწორად გამოყენება სამეურნეო-ფინანსიური მნიშვნელობის ფარგლებს სცილდება. ამ მხრივ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ყველაფერი რიგზე არ გვქონდა. ამის შედეგად ზედმეტად, ე. ი. დაუმსახურებლად იცემოდა ხელფასის სახით მილიონი მანეთები. ჩვენ ჩავატარეთ მასწავლებელთა ხელფასის ტარიფიკაცია, რამაც ხელფასის ფონდში სახელმწიფოს 4 მილიონი მანეთის ეკონომია მისცა. მაგრამ ტარიფიკაციის საქმე ამით არ გათავებულა, ტარიფიკაცია ყველგან რიგიანად ვერ ჩატარდა. საჭიროა ამ საქმის ადგილობრივი საბჭოთა საფინანსო და განათლების ორგანოები კვლავ ყურადღებით მოეკიდონ.

4. მთელ რიგ რაიონებში სასკოლო ქსელი გეგმაშეწონილად არ არის განლაგებული და კლასების დაკომპლექტებაც არასწორად ხდება. მაგალითად, სოხუმის პირველ რუსულ საშუალო სკოლაში მე-5 კლასის 126 მოსწავლისათვის 5 პარალელური კლასია გახსნილი, მე-7 კლასის 114 მოსწავლისათვის — 4 კლასი, ხოლო მე-8 კლასის 66 მოსწავლისათვის — 3 კლასი. სულ ამ სკოლაში ზედმეტად არის გახსნილი 4 კლასი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თვითეული კლასის შენახვა სახელმწიფოს წლიურად 12.000 მანეთამდე უჯდება, ნათელი გახდება, რომ მარტო სოხუმის სკოლა არასაჭირო რაოდენობით გახსნილი კლასების შესანახად სახელმწიფოს ყოველწლიურად ზედმეტად ართმევს 48.000 მანეთს. ჩვენ დავალებული გვაქვს 1 ივლისამდე გადავსინჯოთ სასკოლო ქსელის განლაგება, კლასების დაკომპლექტება და უზრუნველვყოთ შესაძლებლობის ფარგლებში ახლო მდებარე სკოლებისა და მცირერიცხოვანი პარალელური კლასების გაერთიანება.

5. სახალხო განათლების ქსელისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერება და გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული განათლების რაიონული განყოფილების აპარატის განმტკიცებაზე. განათლების განყოფილებებს ამჟამად მომქმედი შტატითა და სტრუქტურით უძნელდებათ მათ წინაშე მდგომი უდიდესი ამოცანების წარმატებით განხორციელება, მოუწესრიგებელია სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმე. ამიტომ განსახკომს აუცილებლად მიაჩნია ყველა რაიონს ჰყავდეს სასკოლო ინსპექტორის არა ნაკლებ ორი საშტატო ერთეულისა, მეგეგმავი — ეკონომისტი და მოგვარებულ იქნას განათლების განყოფილებათა ტრანსპორტით უზრუნველყოფის საქმე.

მე მხარს ვუჭერ საქ. სახკომსაბჭოს და საბიუჯეტო კომისიის წინადადებას 1940 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. უდავოა, რომ საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, აღზრდილნი ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ბერიას** მიერ მუშაობის ბოლშევიკური ტრადიციებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო შეამჭიდროებენ თავიანთ რიგებს დიდი **სტალინის** გარშემო და საბჭოთა კავშირის მრავალერიან ხალხებთან ერთად გასწევენ წინ კომუნიზმისაკენ.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბ) და ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს მტკიცე სტალინელს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ **ლ. ბერიას! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დეპუტატ მ. ი. არაქელოვას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, შემოტანილი უმაღლესი საბჭოს სესიაზე დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1.227.451.000 მანეთის რაოდენობით, შედგენილია სახალხო-სამეურნეო გეგმის ამოცანებთან შეფარდებით და მთლიანად შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის ხალხთა ინტერესებს.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში საქართველოს სს რესპუბლიკამ ძირფესვიანად იცვალა სახე. ავაშენეთ ინდუსტრიის ახალი გიგანტები, ახალი ქალაქები და სოფლები, შეიქმნა მძლავრი მრეწველობა, შეიარაღებული უახლესი ტექნიკით. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აშენდა მრავალი საწარმო, ელექტრო-სადგური, 135 სკოლა, ასეული საავადმყოფოები, კლუბები, კინო-თეატრები, საბავშვო ბაღები, საცხოვრებელი სახლები და სხვ. საქართველოს საშუალო სკოლებში სწავლობს 800.000-ზე მეტი ბავშვი, უმაღლეს სასწავლებლებში — 22.041 კაცი.

საქართველოს ხალხს უფლება აქვს იამაყოს თავისი მაღალი კულტურით. 1939 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით მთელს საბჭოთა კავშირში საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს საშუალო და უმაღლესი განათლების დარგში.

ამ წარმატებებს ჩვენმა ხალხმა მიაღწია იმიტომ, რომ მას ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის დიადი პარტია, ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტი საყვარელი და ბრძენი ბელადის **სტალინის** მეთაურობით.

ამ წარმატებებს ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ამხანაგ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.**

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1940 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს იმ გიგანტურ ამოცანებს, რომლებიც ჩვენმა რესპუბლიკამ უნდა გადასჭრას მესამე ხუთწლედის მესამე წელს. ეს არის შემდგომი სამეურნეო ზრდის, მშრომელთა მასების კულტურისა და კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის ბიუჯეტი. 1940 წლის ბიუჯეტით დიდძალი თანხებია გადადებული სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს სახსრები რაციონალურად და მომჭირნეობით გამოვიყენოთ.

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის 1939 წლის ბიუჯეტი შესრულებულია. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი უდრიდა 13.461.300 მანეთს, შესრულება უდრის 13.446.200 მანეთს. სასავალო ნაწილში ბიუჯეტით გათვალისწინებული

(დასასრული მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-3 სესია

კამათი საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ მ. ი. არაქელოვას სიტყვა

(დასასრული)

13.461.300 მანეთის ნაცვლად დახარჯულია 13.085.700 მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი რაიონი, ყოფილი ავლაბარი, წინათ ჩამორჩენილი და უყურადღებოდ მიტოვებული განაპირა უბანი, სტალინური ხუთწლედების განმავლობაში გადაიქცა მსხვილ სამრეწველო რაიონად. ხუთი ძველი ომამდელი საწარმოს ნაცვლად ახლა ჩვენს რაიონში 20 მსხვილი, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული საწარმოა. მათ შორის: ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, რომელიც ერთერთი უდიდესი საწარმოთაგანია საქართველოში, იქ მუშაობს 4.500 მუშა-მოსამსახურე; ასევე დიდი საწარმოებია წისქვილკომბინატი, მარგარინის ქარხანა, ქაღალდის ფაბრიკა, მეორე პურსაცხობი ქარხანა, მაკარონის ფაბრიკა, მაცივარი და სხვ.

შეიცვალა ძველი ავლაბრის სახე. ასფალტით არის მოფენილი შაუმიანის მოედანი, შაუმიანის ქუჩა და კახეთის გზატკეცილი. წელს ჩვენს რაიონში საგზაო მშენებლობაზე დიდი თანხები დაიხარჯება, და ნაწილი გზებისა, რომლებიც წინათ ტალახით იყო დაფარული, წესრიგში იქნება მოყვანილი.

ციციანოვის ძველი, ვიწრო დაღმართის მაგიერ აშენდა კალიაევის შესანიშნავი დაღმართი, რომელიც ქალაქის სოციალისტური რეკონსტრუქციის საუკეთესო ნიმუშია. აშენდა ახალი სკოლები, საბავშვო ბაგები და სხვ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის, წისქვილკომბინატის, ქაღალდის ფაბრიკის, რკინიგზის ნავთლუღის კვანძის მუშებისათვის აშენებულია ახალი საცხოვრებელი სახლები, უკვე დამთავრდა ტრამვაის მუშათა სახლი.

ამხანაგო დეპუტატებო! სესიის წინაშე ვაყენებ ზოგიერთ საკითხს, რომლებიც შეეხება ქალაქ თბილისს და კერძოდ 26 კომისრის სახელობის რაიონს.

პირველი საკითხი. 26 კომისრის რაიონის კეთილმოწყობა ჯერ კიდევ ჩამორჩება კულტურისა და ეკონომიკის საერთო ზრდას. ბევრი სახლი მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას, ბევრ ქუჩას ესაჭიროება კეთილმოწყობა, 1939 წელს ამ ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული იყო 1.398.300 მანეთი, რაც მთლიანად ათვისებულია, მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილება მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი. ამ ღონისძიებებისათვის 1940 წელს საჭიროა მილიონ-ნახევარი მანეთი.

მეორე საკითხი—26 კომისრის რაიონის მოსახლეობამ უკანასკნელ წლებში მრეწველობის ზრდასთან დაკავშირებით 100.000-ს მიაღწია. რაიონში არის ერთი კინო-თეატრი, ისიც მოუწყობელი, რის გამო იგი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ კულტურულ მოთხოვნილებებს.

მე ვთხოვ სესიას 1940 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს 1.800.000 მანეთი კინო-თეატრების მშენებლობისათვის იმ ანგარიშით, რომ 1941 წელს 26 კომისრის რაიონის მოსახლეობამ მიიღოს ერთი ახალი კულტურული დაწესებულება.

გთხოვთ საქართველოს სსრ 1940 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას ანგარიში გაუწიოთ ჩემს მიერ წარმოდგენილ შესწორებებს.

წინადადება შემომაქვს დამტკიცდეს წარმოდგენილი ბიუჯეტი საბიუჯეტო კომისიის შესწორებებით.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ ბიუჯეტი, ისე როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის მრავალმილიარდიანი ბიუჯეტი, მეტყველებს ჩვენი დიადი და საყვარელი სამშობლოს კოლოსალურ ძლიერებაზე და იმაზე, რომ ამ ძლიერებით საბჭოთა ხალხი, მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** გარშემო შემჭიდროებული, სასტიკი გამანადგურებელი დარტყმით უპასუხებს მტერს, რომელიც კი გაბედავს ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის საზღვარზე თავდასხმას.

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენი ეპოქის უდიდეს ადამიანს, ჩვენს გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს საყვარელ **სტალინს! (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ ვ. ი. ხუბაევის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

მიმდინარე სესიის განსახილველად წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სსრ 1940 წლის ბიუჯეტისა სავსებით შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც დაუსახეს ჩვენს რესპუბლიკას საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ და ხალხთა ბელადმა დიდმა **სტალინმა.**

ჩვენი ბიუჯეტის ყოველი ციფრი დამადასტურებელია იმ უსაზღვრო მზრუნველობისა, რომელსაც იჩენენ ჩვენი პარტია და მთავრობა თავისი ხალხისადმი, ნაციონალური რესპუბლიკებისადმი.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის უდიდეს ზრუნვას სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის ნათლად მოწმობს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და მაღალხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

მიმდინარე სესიის განსახილველად წარმოდგენილი ბიუჯეტი საქართველოს სს რესპუბლიკის, მისი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების თავდებია.

პირადად ამხანაგ ლ. პ. ბერიას, საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მუდმივი დახმარებისა და ყურადღების და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების შედეგად ფართო გზა გაეხსნათ სამხრეთ-ოსეთის მშრომელებს შეძლებული ცხოვრებისაკენ, ცოდნისა და კულტურისაკენ. დიდი სტალინის იმ მუდმივი ზრუნვის მეოხებით, რომელსაც ის იჩენს წინათ ჩამორჩენილ ხალხთა კულტურისა და მეურნეობის მიმართ, ჩვენი ოლქის მშრომელებმა შორეულ წარსულს ჩააბარეს ნახევრადმშიერი არსებობა და მონობა. ენტუზიაზმით მოჰკიდეს ხელი თავისი მეურნეობის გარდაქმნას და სტალინური ხუთწლედების განმავლობაში გადააქციეს სამხრეთ-ოსეთი მოწინავე აყვავებულ ოლქად.

პარტიისა და მთავრობის უდიდეს დახმარებას მოწმობს ოლქის ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდა. ასე მაგალითად, 1933 წელს მისი ბიუჯეტი შეადგენდა 5.507 ათას მანეთს, 1939 წელს—31.078 ათას მანეთს. მიმდინარე წელს ოლქის ბიუჯეტი დაგეგმილია 31.620 ათასი მანეთის რაოდენობით.

სამხრეთ - ოსეთის მშრომელთა კულტურის განუწყვეტლივ ზრდას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1938 წელს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა გატარებას მოხმარდა 20.290 ათასი მანეთი, ანუ მთელი ბიუჯეტის 74 პროცენტი, ხოლო 1939 წელს—23.284 ათასი მანეთი, ანუ 77,2 პროცენტი. მიმდინარე წელს ამ ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 25.383 ათასი მანეთის ანუ მთელი ბიუჯეტის 80 პროცენტის გამოყენება.

ჩვენ უკვე გვაქვს 1 უმაღლესი სასწავლებელი, 3 ტექნიკუმი, 29 საშუალო, 47 არასრული საშუალო და 281 დაწყებითი სკოლა, სადაც სწავლობს 28.852 მოსწავლე.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში 480 კოლმეურნეობაა, რომლებშიც გაერთიანებულია მეურნეობათა 99,4 პროცენტი. კოლმეურნეთა პატიოსანი და გულმოდგინე შრომის მეოხებით გაიზარდა მარცვლოვან კულტურების მოსავლიანობა და მათი ნათესი ფართობი, რომელიც ამჟამად 31.174 ჰექტარს შეადგენს. მარცვლოვან კულტურათა საერთო მოსავალი გასულ წელს ოლქში შეადგენდა 402.595 ცენტნერს. მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობა ჰექტარზე გასულ წელს საშუალოდ ოლქში 13,4 ცენტნერს შეადგენდა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერისა. საზოგადოებრივი მეცხოველეობა ჩვენში ყოველწლიურად იზრდება. მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის ოლქში იყო 75.145 სული მსხვილფეხა და 139.483 სული წვრილფეხა საქონელი. წვრილფეხა საქონლის ნამატი მიმდინარე წელს სულ მცირე 50.000 სული იქნება.

დიდი შესაძლებლობანი გვაქვს მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის. ქეხვის სარწყავი არხის მშენებლობის განხორციელება, რომელიც უახლოეს მომავალში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შესაბამისად დაიწყება, საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ მეხილეობისა და მევენახეობის ფართობი 10 ათას ჰექტარამდე.

ცოტა მიღწევები როდი გვაქვს მრეწველობის დარგშიც. ჩვენ გვაქვს ხე-ტყის, სამშენებლო მასალებისა და სახურავის წარმოების ობიექტები. უახლოეს ხანში ექსპლოატაციაში შევა თალკის, ახალი ქარხანა, რომელიც წელიწადში 12 ათას ტონა მაღალხარისხოვან თალკს მოგვცემს.

წელს მთავრდება ქვაისინის ტყვია-თუთიის საბადოების სამრეწველო ძიება. საძიებელი სამუშაოებით გამოირკვა ამ საბადოთა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. მისი ნედლეული უზრუნველყოფს ჩვენი ლიტოპონის ქარხანას.

ეს კულტურული და სამეურნეო მიღწევები ჩვენი ოლქის მშრომელებმა მოიპოვეს დიდი სტალინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, ჩვენთვის ძვირფასი ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** ინიციატივით. ერთგული სტალინელის ლაზარე მოსეს-ძე **კაგანოვიჩის** ოპერატიული ხელმძღვანელობისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს ყოველდღიური დახმარების შედეგად უმოკლეს ვადაში მთავრდება გორ-სტალინირის რკინიგზის მშენებლობა. მას აშენებენ ჩვენი კოლმეურნეები, რომლებმაც, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა, დიდი ენტუზიაზმით მოჰკიდეს ხელი მის გაყვანას.

დიდი მიღწევები გვაქვს აგრეთვე გზატკეცილების მშენებლობის საქმეშიც. წელს ვამთავრებთ ლენინგორ-სტალინირის გზატკეცილის და გუფთა-ჩასავალის გზის მშენებლობას. ამ სამუშაოებს ჩვენი ოლქის კოლმეურნეები ფერგანული მეთოდით აწარმოებენ.

ჩვენი ოლქის 1940 წლის ბიუჯეტი ყველა პირობას გვიქმნის შემოქმედებითი მუშაობის კიდევ უფრო მეტად გაშლისა და მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

მე მსურს მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა შევიტანო ბიუჯეტის პროექტში.

პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის გაღებული სახსრები ჩამორჩება ჩვენი მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნებს. მე ვთხოვ სესიას გაითვალისწინოს 200 ათასი მანეთი კლუბის ასაგებად ისეთ მსხვილ რაიონულ ცენტრში, როგორიც ჯავაა. აქვე უნდა აშენდეს კოლმეურნის სახლი. ვთხოვ სესიას გაითვალისწინოს 50 ათასი მანეთი ნაცვლად 25 ათასი მანეთისა რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისათვის, გაიღოს აგრეთვე 250 ათასი მანეთი სტალინირში ვ. ი. ლენინის ძეგლის ასაგებად, 170 ათასი მანეთი საბჭოების სახლის დასამთავრებლად და აგრეთვე სახსრები კულტურისა და დასვენების პარკის, ახალი ქუჩების მშენებლობისათვის, ოლქის ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! 1940 წლის ბიუჯეტით დასახული ამოცანების შესასრულებლად მობილიზებულ უნდა იქნას ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციის ყურადღება.

ეჭვს გარეშეა, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით 1940 წლის ბიუჯეტი შესრულებული იქნება და ჩვენ მოვიპოვებთ ახალ მიღწევებს კომუნიზმის გზაზე.

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებათა შთამაგონებელს და ორგანიზატორს დიდ სტალინს! **(ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ შ. დ. ნუცუბიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის წინაშე განსახილველად და დასამტკიცებლად სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს იმ უდიდეს გამარჯვებებს, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი საყვარელი ბელადის, მამისა და მასწავლებლის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით **(ტაში).**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით გაიფურჩქნა და აყვავდა ჩვენს ქვეყანაში მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა და ხელოვნება. თვალსაჩინოდ ვითარდება ლაგოდეხის რაიონის სოციალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის შედეგად ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს 1937, 1938 და 1939 წლების სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარების გეგმები და მაღალი მოსავალი მიიღეს. ამის გამო მთლიანად რაიონმა საპატიო უფლება მოიპოვა — იგი 1940 წლის სრულიად-საკავშირო-სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა.

ყოველწლიურად იზრდება ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლიანობა. 1932 წელს რაიონის კოლმეურნეობათა შემოსავალი, როგორც ფულად ისე პროდუქტებით ფულად გამოსახულებაში 3.815.604 მანეთს შეადგენდა, ხოლო 1939 წლისა — 24.090.736 მანეთს. თვალსაჩინოდ გაიზარდა შრომადღეების ღირებულება. 1933 წელს შრომადღის ღირებულება 2 მან. 60 კაპ. შეადგენდა, ხოლო გასულ წელს 4 მან. 31 კაპ. შარშან კი ცალკეულმა კოლმეურნეობებმა შრომადღეზე გაანაწილეს 10 მან. და კიდევ მეტი.

ყოველწლიურად იზრდება მარცვლეულის, თამბაქოს და სხვა კულტურების მოსავლიანობა. 1937 —წელს რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 10,6 ცენტნერი მარცვლეული, ხოლო 1939 წელს 13 ცენტნერი. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა მიიღეს 16-18 ცენტნერი ჰექტარზე. 1937 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 11 ცენტნერი თამბაქო, ხოლო გასულ წელს 13 ცენტნერი. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა მიაღწიეს სარეკორდო მოსავალს — ჰექტარზე 15-18 ცენტნერს. თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. მეცხოველეობის განვითარების 1939 წლის გეგმა წარმატებით შესრულდა. გასული წლის 1 იანვრისათვის რაიონში არსებობდა მეცხოველეობის 71 სხვადასხვა ფერმა 9.464 სული პირუტყვით, ხოლო 1940 წლის 1 იანვრისათვის მოწყობილი იყო 150 ფერმა 13.763 სული პირუტყვით.

რაიონში სახალხო მეურნეობის ზრდასთან ერთად ყოველწლიურად იზრდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე, რასაც ასახავს ლაგოდეხის რაიონის ბიუჯეტის ზრდა. მაგალითად, 1933 წელს რაიონის ბიუჯეტი 1.152 ათას მანეთს შეადგენდა, 1937 წ.—4.016,6 ათას მანეთს, 1939 წელს—5.831,6 ათას მანეთს, ხოლო 1940 წელს გათვალისწინებულია 7.216 ათასი მანეთი. ამრიგად, 1939 წელს რაიონის ბიუჯეტი 1933 წელთან შედარებით 506,2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 1940 წლის ბიუჯეტი 625 პროცენტით გადიდდა.

ბიუჯეტის ზრდასთან ერთად იზრდება ასიგნობანი სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე. 1933 წლის ბიუჯეტის 1.152 ათასი მანეთიდან სახალხო განათლებაზე გათვალისწინებული იყო და მთლიანად მას მოხმარდა 529 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის ხარჯებს 101 ათასი მანეთი. 1939 წლის ბიუჯეტის 5.831.600 მანეთიდან სახალხო განათლებაზე გათვალისწინებული იყო 3.749.900 მანეთი, ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე—1.013.700 მანეთი, ხოლო 1940 წლის ბიუჯეტის 7.216.000 მანეთიდან გათვალისწინებულია სახალხო განათლებაზე 4.389.700 მანეთი, ანუ 62,3 პროცენტი, ჯანმრთელობის ხარჯებზე—1.517.100 მანეთი ანუ 21,5 პროცენტი. ასიგნობათა თვალსაჩინო გადიდება მოწმობს იმას, თუ რა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ ლენინ-სტალინის დიადი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმისადმი.

აღსანიშნავია, რომ ლაგოდეხის რაიონში ძალზე ჩამორჩენილია კომუნალური მეურნეობა, კერძოდ საბინაო მშენებლობა და რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა. დღიდან რაიონის დაარსებისა სარაიონო ცენტრში არცერთი შენობა დაწესებულებისათვის არ აგებულა, მოწყობილია მცირეძალიანი ჰიდროელსადგური, მაგრამ იგი დღევანდელ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. გათვალისწინებულია 500-ცხენისძალიანი ჰიდროელსადგურის აგება, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შედგენილია, მაგრამ ჯერჯერობით არ არის დაშვებული საჭირო თანხა. რაიონის კომუნალური განყოფილების 1939 წლის ბიუჯეტი 83.000 მანეთს შეადგენდა, მაგრამ ეს თანხა ძალიან მცირეა და იმედია, რომ სესია მიიღებს მხედველობაში ლაგოდეხის რაიონის მდგომარეობას და გაგვიდიდებს კომუნალური მშენებლობისათვის საჭირო თანხებს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტი, რომელიც დასამტკიცებლად წარმოდგენილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე—ეს არის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ზრდის ბიუჯეტი, ხალხთა მასების კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ბიუჯეტი, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების ბიუჯეტი. ის აუცილებლად შესრულებული იქნება, რითაც უზრუნველვყოფთ მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის ღირსეულ შვილს ამხ. **ლავრენტი ბერიას! (ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ადამიანს, მსოფლიოს მშრომელთა ბელადს დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ ნ. ნ. კასხოველის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სს რესპუბლიკის 1938 და 1939 წლების ბიუჯეტის შესრულების ციფრები და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1940 წლის ბიუჯეტის პროექტი ლაპარაკობენ იმ უდიდეს ეკონომიურ და კულტურულ აყვავებაზე, იმ ბედნიერ და საამურ ცხოვრებაზე, რასაც მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად მიაღწია საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ. საქართველოს სსრ ორდენოსან რესპუბლიკად გადაქცევა, მისი აყვავება და უდიდესი წარმატებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოადგენენ იმ უდიდესი ყურადღების შედეგს, რომელსაც მისდამი იჩენენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, საკავშირო მთავრობა და პირადად დიდი **სტალინი.**

საქართველოს სსრ ასეთი სწრაფი ნაბიჯით სვლა კულტურის უმაღლესი მწვერვალისაკენ უშუალოდ დაკავშირებულია დიდი **სტალინის** საუკეთესო მოწაფის და თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის, საქართველოს ბოლშევიკების გამარჯვებათა ორგანიზატორის ამხანაგ **ლ. ბერიას** სახელთან.

საბჭოთა მოქალაქის გული სიამაყითა და სიამით ივსება, როდესაც ხედავს და ისმენს, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტის 57 პროცენტი განკუთვნილია სახალხო განათლებისა და მეცნიერებისათვის.

დიდი **სტალინის** მიერ მოცემული მითითების საფუძველზე მთელ რიგმა სამეცნიერო დაწესებულებებმა გარდაქმნეს მუშაობა და უფრო მჭიდრო კავშირი გააბეს მასებთან. მაგრამ ზოგიერთი ინსტიტუტის თემატიკა ჯერ კიდევ მოწყვეტილია პრაქტიკას.

სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე სამეცნიერო დაწესებულებებს განსაკუთრებით დიდ მოვალეობას აკისრებს სსრ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილება, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა სუბტროპიკების აყვავების საბრძოლო პროგრამას. ტირიფონის არხის მოწყობა, ქეხვის, სალავათის და სხვა არხების გაყვანა პირდაპირ აუცილებელია მეხილეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის. ზემოაღნიშნულ ამოცანათა ბრწყინვალედ გადაჭრის საქმეში მეცნიერ მუშაკებს დიდი როლი ეკუთვნით. მეცნიერებამ უნდა მისცეს წარმოებას ყინვის გამძლე ჯიშები, გამოიმუშაოს ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, ევკალიპტის ნარგაობათა ტიპები პირობათა ცვალებადობის მიხედვით და სხვ. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი კვლევითი ინსტიტუტი იმყოფება და ყველა თავისებურად მუშაობს. არ არის ერთი მეთოდური ორგანო, რომელიც მას ხელმძღვანელობას გაუწევს და მუშაობის კოორდინაციას მოახდენს.

ამხანაგო დეპუტატებო! ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საჭიროდ მიმაჩნია მიწსახკომის სისტემაში დაარსდეს ორგანიზაცია, რომელიც უხელმძღვანელებს საქართველოში მეცნიერულ მუშაობას სასოფლო - სამეურნეო დარგში. ვშუამდგომლობ უმაღლესი საბჭოს წინაშე, რათა 1940 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას 300 ათასი მანეთი მიმდინარე წელს მეხილეობის კვლევითი ინსტიტუტის დასაარსებლად და 200 ათასი მანეთი მაღალ მთებში ახალ კულტურულ მცენარეთა დამნერგავი სადგურების მოსაწყობად—ერთი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში და ერთი რაჭაში ან ზემო-სვანეთში.

უდიდესი მიღწევებია კადრების მომზადების დარგში. საკავშირო აღწერის მასალების მიხედვით საქართველოში 39 ათასი უმაღლესი განათლების სპეციალისტია, ე. ი. ყოველ ათას მცხოვრებზე 112 სპეციალისტია. ამ მხრივაც მოწინავეა საქართველოს სსრ რესპუბლიკა. ამჟამად საქართველოს 21 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 22.041 საბჭოთა ახალგაზრდა და ხუთი წლის შემდეგ გვეყოლება 60 ათასზე მეტი უმაღლესი განათლების სპეციალისტი. 1939 წელს კადრების მომზადებაზე მარტო რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაიხარჯა 159.500.000 მანეთი. 1940 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 168.535.000 მან. გარდა ამისა, 13 მილიონი მანეთი ინდუსტრიული ინსტიტუტისათვის და 10 მილიონი მანეთი სატრანსპორტო ინსტიტუტისათვის. ამ უდიდესი ყურადღების შედეგად მოწინავე უმაღლეს სასწავლებელთა შორის მტკიცედ ჩადგნენ **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ლ. ბერიას** სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ინდუსტრიული ინსტიტუტი და სხვ. დღემდე მარტო **ლ. ბერიას** სახელობის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტმა 6.000 სპეციალისტი გამოზარდა. წელს 1 ივლისისათვის გამოვუშვებთ 500 აგრონომს და სოფლის მეურნეობის ინჟინერს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ინსტიტუტმა დიდად გააუმჯობესა მუშაობა.

მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი. ყოველთვის ვერ ვიძლევით მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტს. უმაღლესი სასწავლებლის შტატის ნახევარი მეცნიერულ მუშაობას უნდა ეწეოდეს. ხელფასი სამეცნიერო კვლევისათვის სავსებით უზრუნველყოფს მეცნიერ მუშაკს. მაგრამ ამ დარგში ერთი ნაკლი გვაქვს. საოპერაციო ხარჯი უნდა შეეფარდებოდეს ხელფასის ფონდს იმდენად, რომ მან უზრუნველჰყოს ამ დიდი დაფინანსების განაღდება. საჭირო იქნება ამის გათვალისწინება და ბიუჯეტში სათანადო კორექტივის შეტანა. სახელდობრ, სამეცნიერო მუშაობის ხარჯების გადიდება იმდენად, რომ იგი შეეფარდებოდეს ხელფასისათვის გათვალისწინებულ ხარჯებს.

ჩვენ გვაქვს მრავალი ტექნიკუმი, მათ შორის მიწსახკომის სისტემაშია 30 ტექნიკუმზე მეტი. უნდა ითქვას, რომ ეს ტექნიკუმები ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას. მაგალითად, 1939 წ. გამოშვების 1200 სპეციალისტიდან წარმოებაში პირდაპირ სპეციალობაზე გამოყენებულია არა უმეტეს 10 პროცენტისა. საჭიროა ვიფიქროთ ახალი ტიპის საშუალო განათლების მქონე აგრონომის, ტიპიური აგროტექნიკოსის პროფილის შექმნაზე. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველა საშუალება გვაქვს აღნიშნულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსწორებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! წინადადება შემომაქვს დამტკიცდეს საქ. სსრ სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილს ამხ. **ლ. ბერიას! (მხურვალე და ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს და სულისჩამდგმელს, მთელი მსოფლიოს პროგრესიული კაცობრიობის იმედს, ხალხთა საყვარელ ბელადს ამხანაგ **სტალინს! (მხურვალე და ხანგრძლივი ტაში).**

დეპუტატ ს. გ. ბაზანდარაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია იხილავს სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილ 1940 წლის მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის ბიუჯეტს, რომელიც ასახავს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანებს ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას.

სტალინური ხუთწლედების წარმატებით შესრულების შედეგად მზიურმა საქართველომ ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ეს წარმატებანი მიღწეულია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ყოველდღიური მზრუნველობით.

საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად გორის რაიონის სახალხო მეურნეობა ყოველწლიურად აღმავლობის გზით მიდის წინ. გორის რაიონის ტერიტორია შეადგენს

1.429 კვ. კილომეტრს. მცხოვრებთა რაოდენობა 1939 წლის მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის მონაცემებით უდრის 91.780 მცხოვრებს. თუ 1920-21 სასწავლო წელს გორის რაიონში ითვლებოდა ყველა ტიპის 60 სკოლა 174 მასწავლებლით, 5.636 მოსწავლით, ამჟამად ითვლება — 166 სკოლა 750 მასწავლებლით, 20.000 მოსწავლით, აგრეთვე არის 4-წლიანი პედაგოგიური ინსტიტუტი 500 სტუდენტით.

1937 წელს რაიონში იყო 51 სამკურნალო დაწესებულება, 1939 წელს კი — 58. რაიონის ბიუჯეტი ყოველწლიურად არნახული ტემპებით იზრდება. 1937 წელს იგი უდრიდა 9.600.000 მანეთს, 1939 წელს კი 15.000.000 მანეთამდე გაიზარდა.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლად ელექტრო-ქსელის გაფართოებას და ადგილობრივი ჰიდრო-სადგურების მშენებლობას. ჩვენს რაიონში ამ მიმართულებით გადადგმულია სათანადო პრაქტიკული ნაბიჯი. სოფ. არბოში აგებულია ჰიდრო-სადგური, რომელიც მომსახურებას უწევს 4 სოფელს. ელექტრო-სადგურები აგებულია აგრეთვე სოფ. შინდისში და ბერბუკში. მიმდინარე წელს ელექტრო-ენერგიას გორიდან მიიღებს ხიდისთავის მოსახლეობა. მიუხედავად ამ მიღწევებისა, მიმდინარე წელს დიდ სოფლის საბჭოებში უნდა აგებულ იქნას ადგილობრივი ელექტრო - სადგურები. პირველ რიგში ელექტროენერგია უნდა მიეცეს სოფ. კარალეთს, სადაც მოსახლეობა 3.500 მცხოვრებს აღემატება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი სკოლის შენობები უვარგისია. მაგალითად, სოფ. კარალეთის არასრული საშუალო სკოლის შენობა უვარგისია და პატარაა თავის ტევადობით. საქ. სსრ სახკომსაბჭომ განიხილა ეს საკითხი და მიმდინარე წელს აშენდა საშუალო სკოლის ახალი შენობა. გარდა ამისა ქალაქის სკოლების უმრავლესობა მეცადინეობს ორ-სამ ცვლად სასკოლო ოთახების უქონლობის გამო; ამიტომ სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო 1940 წლისათვის აგებულ იქნას ერთი საშუალო სკოლა 400 მოსწავლისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე წლის წინათ სოფლად დაწყებულია არასრული საშუალო სკოლების მშენებლობა (მაგალითად, ს. ზემო-ახალი სოფელი, ზერტი), რომელიც დღესაც არ არის დამთავრებული. საჭიროდ მიმაჩნია მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს ამ სკოლების დასამთავრებლად სათანადო თანხები.

გორის 4-წლიან პედაგოგიურ ინსტიტუტს აქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ მოუმზადოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრები. ინსტიტუტი უზრუნველყოფილია კარგი სასწავლო კორპუსით და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლით, მაგრამ ამასთან ერთად ინსტიტუტს აქვს მთელი რიგი დამაბრკოლებელი მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან ინსტიტუტის განმტკიცების საქმეს. მთავარი არის ადგილზე ლექტორთა კადრის დამაგრება. ინსტიტუტს და ქალაქის საბჭოს არა აქვს იმის საშუალება, რომ უზრუნველჰყოს ლექტორები ბინით, რის გამო ლექტორთა შემადგენლობის 80 პროცენტს უხდება თბილისიდან მოგზაურობა. ამიტომ მე ვსთხოვ სესიას, რათა განსახკომის 1940-1941 წლის ბიუჯეტში დამატებით გაითვალისწინოს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორთა საცხოვრებელი ბინის აშენება.

ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** სამშობლო ქალაქი — გორი ჩადგა მოწინავეთა რიგებში. აშენდა მრავალი კეთილმოწყობილი შენობა, გამწვანდა და გამშვენიერდა ცენტრალური ქუჩები, მოსახლეობამ მიიღო ელექტრო-ენერგია და სხვ. 1939 წელს დამთავრებულ იქნა 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, სახელმწიფო თეატრი 500 მაყურებლის ტევადობით. ქალაქის ქუჩების და გასავლელების საერთო სიგრძე განისაზღვრება 25 კილომეტრით. აქედან კეთილმოწყობილია 13 კილომეტრი. საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით ქალაქის კეთილმოწყობის ზოგიერთ ღონისძიებების გატარების მიზნით 1940 წელს დაიხარჯება 1.700.000 მანეთი.

მოვითხოვ დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი 1940 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სავსებით შეესაბამება სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმას.

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს პროგრესიული კაცობრიობის დიდ გენიას, სტალინური კონსტიტუციის შემომქმედს, სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს ჩვენს მშობლიურ **სტალინს! (ხანგრძლივი და მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას! (ხანგრძლივი და მქუხარე ტაში).**

დეპუტატ ა. ს. კეზერაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტი 1.227.451 ათასი მანეთის რაოდენობით წარმოადგენს მძლავრ ბერკეტს იმ ამოცანათა განსახორციელებლად, რომლებიც დასმულია ჩვენს წინაშე მესამე სტალინურ ხუთწლედში.

ის გრანდიოზული მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლების, სოციალისტური კულტურისა და მრავალ სხვა დარგში, მტკიცედ დაკავშირებულია დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლისა და მოწაფის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სახელთან **(ტაში).**

მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო კასპის რაიონის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების საერთო ოდენობაზე და მათს ათვისებაზე ცალკე წლების მიხედვით.

1936 წელს კასპის რაიონის ბიუჯეტი შეადგენდა 3.212 ათას მანეთს, ხოლო 1940 წელს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს მე-3 სესიაზე წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით კასპის რაიონისათვის გათვალისწინებულია 6.260 ათასი მანეთი.

1940 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების 50-55 პროცენტი მოხმარდება სახალხო განათლების საქმეს. ასევე მნიშვნელოვანი თანხაა გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გასატარებლად.

1940 წელს კასპის რაიონში არსებობს ერთი პედტექნიკუმი, ორი მოზრდილთა საღამოს საშუალო

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-3 სესია

დეპუტატ ა. ს. კეზერაშვილის სიტყვა

(დასასრული)

სკოლა, 8 საშუალო სკოლა, 16 არასრული საშუალო სკოლა, 58 დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლა, სადაც სწავლობს 11.185 მოსწავლე. რაიონში არის 14 საბავშვო ბაგა და ბაღი, ერთი კულტსახლი 500 კაცისათვის, 7 სასოფლო კლუბი, 10 ქოხ-სამკითხველო და 2 ბიბლიოთეკა. 1939 წლიდან მუშაობს 80 საწოლიანი საავადმყოფო, რომელიც ერთი მილიონი მანეთი დაჯდა. მოწყობილია 12 საექიმო უბანი, 6 საფერშლო პუნქტი, 6 საბებიო პუნქტი, 1 პოლიკლინიკა და 1 სამალარიო სადგური. რაიონში მუშაობს 384 მასწავლებელი, 83 ექიმი, 35 აგრონომი, 17 ზოოტექნიკოსი და ვეტექიმი.

ამჟამად რაიონის 101 კოლმეურნეობაში გაერთიანებულია გლეხური მეურნეობის 90 პროცენტი. 1940 წელს რაიონს აქვს ორი მტს-ი 88 ტრაქტორით, 12 კომბაინით, 17 სალეწი მანქანით და სხვ.

1935 წელს რაიონში ხეხილის ბაღი გაშენებული იყო 400 ჰექტარზე, ამჟამად გაშენებულია 1.100 ჰექტარზე, ვენახი გაშენებული იყო 455 ჰექტარზე, ახლა გაშენებულია 1248 ჰექტარზე. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით 1940-1944 წლებში ვენახი უნდა გაშენდეს 1056 ჰექტარზე. მარცვლეული კულტურები 1936-37 წლებში ითესებოდა 9000 ჰექტარზე, 1940 წელს დათესილი გვაქვს 12.000 ჰექტარამდე.

დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის განვითარებას. რაიონის კოლმეურნეობებს აქვს 198 საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმა: 94 მეძროხეობის ფერმა, 95 მეცხვარეობის და მეთხეობის და 9 მეღორეობის ფერმა.

ამხანაგო დეპუტატებო! საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილებით კასპის რაიონს დაევალა ერთი თვის ვადაში, ე. ი. 15 მაისიდან 15 ივნისამდე შეესრულებინა 250 ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები და გაეზიდნა 18 ათასი კუბური მეტრი ქვა და ხრეში. რაიონის კოლმეურნეებმა კარგად იცოდნენ, რომ ამ გზის საშუალებით საბჭოთა კავშირის მშრომელებს გაუადვილდებათ ნახონ ის ადგილი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა მთელი პროგრესიული კაცობრიობის ბელადმა და მასწავლებელმა, მშობლიურმა სტალინმა. რაიონის კოლმეურნეობების 20 ათასმა წევრმა 600 ურმით, გამოიყენა რა ფერგანელ კოლმეურნეთა გამოცდილება, ვადაზე ადრე დაამთავრა ნატახტარ-გორის გზის მშენებლობა 19,1 კილომეტრის მანძილზე.

კასპის რაიონში საუკეთესო პერსპექტივები აქვს მრეწველობას, კასპში აშენებულია საკავშირო მნიშვნელობის ცემენტის ქარხანა, რომლის პროდუქციის ხარისხი საუკეთესოდ ითვლება მთელს საბჭოთა კავშირში. ქარხანა ყოველდღიურად უშვებს 480-დე ტონა საუკეთესო ცემენტს. 1940 წელს ქარხანა გამოუშვებს 150 ათასამდე ტონა ცემენტს. ამჟამად შენდება კირქვის ახალი კარიერი, რომლის ღირებულება უდრის 3 მილიონ მანეთს. ცემენტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საბინაო მშენებლობაზე გასული სამი წლის განმავლობაში დაიხარჯა 1.800.000 მანეთი. აშენდა 60-ბინიანი სამი სამსართულიანი კაპიტალური შენობა. შენდება საუკეთესო აბანო, რომლის ღირებულება უდრის 260 ათას მანეთს.

ამჟამად კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის ტერიტორიაზე საქნავთის ტრესტი წარმატებით აწარმოებს საკვლევო მუშაობას ნავთის აღმოსაჩენად. სპეციალისტების აზრით ნავთის მრეწველობა კასპის რაიონში ფართო ხასიათს მიიღებს.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მთლიანად და სავსებით მხარს ვუჭერ წინადადებას, რათა დამტკიცებულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი იმ შესწორებებით, რომლებიც შეიტანა უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ.

გაუმარჯოს დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფეს და თანამებრძოლს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს, სახელოვან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას**. (ტაში).

გაუმარჯოს პროგრესიული კაცობრიობის საყვარელ მამას და მასწავლებელს, ხალხთა ბელადს — დიდ **სტალინს** (მქუხარე ტაში).

უკანასკნელი ცნობები

იტალიამ ომი გამოუცხადა ინგლისსა და საფრანგეთს

ბერლინი, 10 ივნისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო რომიდან იტყობინება, მუსოლინიმ თავისი სიტყვა პიაცა ვენეციას მოედანზე დაიწყო განცხადებით, რომ ინგლისის და საფრანგეთის ელჩებს ეცნობათ იტალიის მიერ მოკავშირეებისათვის ომის გამოცხადების შესახებ.

ომი დასავლეთ ევროპაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 10 ივნისი (საკდესი). როგორც ტრანსოცეანის სააგენტო იუწყება, 10 ივნისს, შუადღეს, ბერლინში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მოკავშირეთა ჯარებმა დასტოვეს ნარვიკი და ჰარსტადი. გერმანიის დროშა კვლავ ფრიალებს ნარვიკში.

გერმანიის ავიაციამ კვლავ დაუშინა ყუმბარები საფრანგეთის ნავსადგურებს—შერბურგსა და ჰავრს. ორივე ნავსადგურში და სენის ქვედა წელში დაზიანდა გემების მნიშვნელოვანი რაოდენობა. გერმანიის საჰაერო ძალები ენერგიულ დახმარებას უწევენ გერმანიის იმ არმიებს, რომლებიც წინ მიიწევენ სენაზე და შამპანში. გერმანიის ჯარმა დიდი წარმატებით მიიტანა იერიში საფრანგეთის სიმაგრეებზე რეიმსის გარშემო.

საფრანგეთის ცნობები

პარიზი, 10 ივნისი (საკდესი). საფრანგეთის სარდლობამ საომარი მოქმედების შესახებ გუშინ საღამოს შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „როგორც უკვე ვიუწყებოდით, დილით მოწინააღმდეგემ თავის შეტევის ფრონტი გააფართოვა არგონებამდე, შეანელა რა იერიშები მდინარე ბრელის რაიონში, მან თავისი ჯავშან-სატანკო ნაწილები ფორჟ-ლეზოს რაიონიდან და არგეილიდან რუანისა და ჟიზორის რაიონებში გადაიყვანა. ზოგიერთი მზვერავი რაზმი მიადგა რუანისა და პონ დე ლ'არშის გარეუბნებს, სადაც ისინი უშედეგოდ ცდილობდნენ გადაელახათ სენა.

უფრო აღმოსავლეთით, მონდიდიესა და ნუაიონს შორის, მოწინააღმდეგე გაცილებით ნაკლებად აგრესიული იყო, ვიდრე წინადღეს. ბევრ ტყვეთა განცხადებით, გუშინ ამ რაიონში მოწინააღმდეგე სერიოზულად დამარცხდა და მნიშვნელოვანი ზარალი ნახა. ასევე იყო დილით ნუაიონის რაიონში და სუასონის რაიონში. აქაც ძლიერ დაზარალდა მოწინააღმდეგის ერთერთი არმია, რომელმაც მხოლოდ ნაშუადღევის დასაწყისში შესძლო შეტევის განახლება; მან მდინარე ენის სამხრეთით, სუასონის მახლობლად, გამოიყვანა ახალი დივიზიები, რომლებსაც ეხმარებოდნენ ჯავშან-სატანკო ნაწილები. ნაშუადღევს იერიში სწარმოებდა აგრეთვე პონტავერის რაიონში.

შამპანში ჩვენ შევაჩერეთ მოწინააღმდეგის დიდი იერიში, რომელიც მან დაიწყო გათენებისას მთელ ფრონტზე შატო-პორსიენსა და არგონებს შორის. მოწინააღმდეგემ შესძლო მდინარე ენის გადმოლახვა მხოლოდ ორ პუნქტში, სადაც მასზე კონტრიერიში იქნა მიტანილი. ვუზიეს ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ ჩვენ პოზიციების ზურგში გადმოსხა პარაშუტისტების ჯგუფი, რომელიც ამჟამად გარშემორტყმულია.

განაგრძობდა რა ბრძოლაში მონაწილეობას, ჩვენი ავიაგამანადგურებელი და ყუმბარმშენი თვითმფრინავები წინააღმდეგობას უწევდნენ ჯავშან-სატანკო ნაწილების შემოტევას, მიუხედავად მტრის ავიაგამანადგურებლების და საზენიტო არტილერიის ძლიერი წინააღმდეგობისა. დილით ჩატარებული დაზვერვის შედეგად გამოირკვა, რომ მოწინააღმდეგის ზოგიერთმა კოლონამ დიდი ზარალი ნახა და მნიშვნელოვანი რაოდენობის საომარი მასალა დასტოვა“.

ნორვეგიის მთავრობის გადაწყვეტილება ნორვეგიაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ

ბერლინი, 10 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ტრომსედან გადმოგვცემს ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს შემდეგ ცნობას, რომელიც გამოაქვეყნა შვეციის დეპეშათა სააგენტომ: „ნორვეგიის მეფე, კრონპრინცი და მთავრობა მოსახლეობისადმი თავიანთ მიმართვაში აცხადებენ, რომ ომის წარმოების პირობებმა მოკავშირეთა მთავრობები აიძულეს მთელი თავიანთი ძალები სხვა ფრონტზე დაეგროვებინათ. ნორვეგიის ჯარს საკმაო რაოდენობით არ მოეპოვება საომარი მასალა და გამანადგურებელი ავიაცია, რომ განაგრძოს ბრძოლა გერმანიის ჭარბი ძალების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ დაუზარალებელი ტერიტორიების შემდგომი აოხრების თავიდან აცილების მიზნით, მეფემ და მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება ყურად იღონ უმაღლესი სარდლობის რჩევა და ბოლო მოუღონ შემდგომს სისხლის ღვრას ნორვეგიაში. ამავე დროს გაგრძელდება ბრძოლა ნორვეგიელი ხალხის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის“.

ომი დასავლეთ ევროპაში

საომარი მოქმედების დღიური

9 ივნისი

ჩრდილოეთ საფრანგეთში ბრძოლა სულ უფრო გააფთრებულ ხასიათს იღებს. მეომარ მხარეებს ბრძოლაში გამოჰყავთ ახალ-ახალი რეზერვი. ინგლისის სამხედრო მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ამჟამად ბრძოლაში მონაწილეობს დაახლოებით 500 ათასი გერმანელი ჯარისკაცი. გერმანიის მრავალრიცხოვანი ქვეითი ჯარი თავმოყრილია ფრონტზე, რომელიც 150 კილომეტრს არ აღემატება, და დიდძალი ტანკების, არტილერიისა და ავიაციის დახმარებით უტევს საფრანგეთის პოზიციებს. ზოგიერთ უბანზე ფრონტის ერთ კილომეტრზე გერმანელებმა გამოიყვანეს 80-100 ტანკი. ასეთი რაოდენობის ტანკების დარტყმის ძალა რომ წარმოვიდგინოთ, უნდა გავიხსენოთ, რომ მსოფლიო ომში, 1917 წლის 20 ნოემბერს კამბრესთან მოკავშირეთა დიდი შეტევის დროს ფრონტის ერთ კილომეტრზე მოქმედებდა 25 ტანკი. 1918 წლის 8 აგვისტოს სომზე მომხდარ ბრძოლაში ფრონტის 1 კილომეტრზე მოდიოდა მხოლოდ 23 ტანკი. ახლა, ინგლისის ცნობებით, ჩრდილოეთ საფრანგეთის ფრონტებზე მოქმედებს გერმანიის 4.000 ტანკი.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მეომარ მხარეთა მთავარ ძალებს ჯერ კიდევ ბრძოლა არ დაუწყიათ და რომ ორივე მხარეს მნიშვნელოვანი ოპერატიული რეზერვები მოეპოვება. ეს ინგლისის ზოგიერთ სამხედრო სპეციალისტს საფუძველს აძლევს ამტკიცოს, რომ ახლანდელი ბრძოლა წარმოადგენს გერმანიის სარდლობის მხოლოდ მანევრს იმისათვის, რომ შენიღბოს მთავარი დარტყმის ნამდვილი მიმართულება.

9 ივნისის განმავლობაში გერმანელთა შეტევა კიდევ უფრო გაძლიერდა. საფრანგეთის პოზიციების ყველაზე სუსტი უბანი აღმოჩნდა აბვილ-ამიენის რაიონი. გერმანელების მიერ ფრონტის ამ უბანზე მოპოვებული წარმატების გამო (ფორჟ-ლეზ-ოს აღება) საფრანგეთის ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია ამიენ-ამის ხაზიდან, რათა ფრონტი გამართოს და საფლანგო დარტყმის საშუალება არ მისცეს გერმანელებს.

9 ივნისს გერმანიის ჯარი განაგრძობდა შეტევას და უმთავრესი იერიშები მიჰქონდა ომალ-ნუაიონის სექტორში. ნუაიონ-შატო-პორსიენის რაიონშიც ბრძოლას სასტიკი ხასიათი ჰქონდა. ჯერ კიდევ 8 ივნისს გერმანელებმა გადალახეს აქ მდინარე და არხი ელეტი და ხელთ იგდეს თავდაპირველი პოზიციები შმენ-დე-დამის რაიონში. ამის შედეგად მათ შესძლეს თავიანთი პოზიციების გაუმჯობესება და მდინარე ენის სამხრეთით მდებარე მაღლობების აღება. ამგვარად გერმანიის ჯარი უშუალოდ ემუქრება სუასონს.

9 ივნისს გერმანიის ჯარმა დიდი შეტევა დაიწყო რეტელის რაიონშიც, 35-40 კილომეტრიან ფრონტზე, შატო - პორსიენიდან ლე-შენამდე. გერმანელთა წინსვლა საფრთხეს უქმნის აქ გამაგრებულ რაიონსა და ქალაქ რეიმსს.

ამ უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში გერმანიის ჯარმა ოთხი თანმიმდევრული იერიში განახორციელა აბვილ-ამიენის, ამიენ-ამის, მდინარე ელეტისა და შატო-პორსიენი-ლეშენის რაიონში. ამ იერიშების მიზანია პარიზისაკენ შეჭრა იმ ანგარიშით, რომ პარიზს გარს შემოერტყან და აიღონ.

უკანასკნელი საომარი ოპერაციების დროს გერმანელთა შეტევის ტემპი, ბელგიასა და ჰოლანდიაში გერმანიის ჯარის საომარი მოქმედების ტემპთან შედარებით, 3-4-ჯერ შემცირდა. ამასთან საომარი მოქმედების ფრონტი სულ უფრო-დაუფრო ვიწროვდება, ხოლო ბრძოლების მონაწილე ცოცხალი ძალისა და მატერიალური ნაწილის რაოდენობა იზრდება. ამიტომ ბრძოლის დაძაბულობა და ზარალის ოდენობა დღითი-დღე მატულობს.

დასავლეთის ფრონტზე

ლონდონი, 9 ივნისი (საკდესი). ეხება რა მდინარე სომზე წარმოებულ საომარ ოპერაციებს, გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ პარიზელი კორესპონდენტი სწერს, რომ საფრანგეთის არმია ამჟამად გააფთრებით იბრძვის. წინათ,—სწერს კორესპონდენტი, — საფრანგეთის ჯარი განლაგებული იყო სუსტად გამაგრებული ხაზის იქით და იგი პირისპირ უნდა დახვედროდა გაშლილ ველზე გერმანიის სატანკო ნაწილების კონცენტრირებულ შეტევას. ამჟამად საფრანგეთის ჯარი რეორგანიზებულია კომპაქტურ ჯგუფებად, რომლებიც მოქმედებენ არტილერიისა და საზენიტო ბატარიების მჭიდრო ურთიერთდახმარებით, აქვთ ყველა სახის თანამედროვე იარაღი და ეყრდნობიან ძლიერს ბუნებრივ საზღვრებს. საფრანგეთის ჯარის ზოგიერთი ჯგუფი განადგურებულ იქნა ან დანებდა. მაგრამ საფრანგეთის არმია წინანდებურად წარმატებით ინარჩუნებს თავის ძირითადს პოზიციებს, რომელიც ვრცელდება ლა-მანშიდან მდინარე ენამდე. საფრანგეთის ჯარის ის ნაწილები, რომლებიც იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ გერმანიის ჯარის მძალების გამო, ახალ პოზიციებზე პოულობენ სხვა ნაწილებს, რომლებიც საკმაოდ მზად არიან საომარ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად.

გაზეთ „დეილი ჰერალდის“ კორესპონდენტი, რომელიც მდინარე სომზე საომარი მოქმედების რაიონში იმყოფება, იუწყება, რომ გერმანელთა შეტევის პირველ დღეს მოსპობილ იქნა გერმანიის 400 ტანკი, მეორე დღეს კი—300.

როგორც გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტი პარიზიდან იუწყება, იქ ხმები დადის, „გერმანიის ახლანდელი შეტევის დროს ინგლისის ავიაციამ, განსაკუთრებით გამანადგურებელმა ავიაციამ შეასუსტა საფრანგეთის არმიისადმი დახმარება“. კორესპონდენტის აზრით, „ინგლისის მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გამოაქვეყნოს სათანადო განცხადება, რათა განმარტოს საქმის ნამდვილი ვითარება“.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 9 ივნისი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 7 ივნისს, დღისით და ღამით, ინგლისის ავიაციის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა მოკავშირეთა არმიის ხელშეწყობა საფრანგეთში. მრავალი საზვერავი ფრენის შემდეგ ინგლისის ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს მტრის კომუნიკაციებზე, საომარი და საწვავი მასალის საწყობებზე და მტრის ჯარის კონცენტრაციის ადგილებზე. ბომბარდირების შედეგად აბვილში ხანძარი გაჩნდა და აეროდრომი დაიწვა.

7 ივნისს, საღამოს, ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა გერმანიის ჯარს, რომელიც მდინარე სომის ფრონტზე მოქმედებს. თვითმფრინავთა დიდმა შენაერთებმა იერიში მიიტანეს ჯარზე, მოტომექანიზებულ ნაწილებზე ლე-ტრეპორისა და ამიენის ფრონტის ზურგში. მტრის ზურგში სისტემატურად მიჰქონდათ იერიშები რკინიგზის კომუნიკაციებზე. ქალაქები და სოფლები, სადაც გერმანიის ჯარი იყო თავმოყრილი, დანგრეულია და ცეცხლის ალშია გახვეული.

ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს აგრეთვე მდინარე სომსა და ბრელს შორის მდებარე ქალაქ ერენზე, რომელიც მტერმა უზარმაზარ სამხედრო ბანაკად გადააქცია. ამ ბომბარდირების შედეგად დანგრეულია ბევრი შენობა, რკინიგზის ხაზები და მნიშვნელოვნად დაზარალდნენ მოტომექანიზებული ნაწილები. ამ მომენტიდან სამი საათის შემდეგ ინგლისის თვითმფრინავები კვლავ თავს დაესხნენ ამ პუნქტს და სამი წუთის განმავლობაში ქალაქს 800 ცეცხლგამჩენი და ფუგასური ყუმბარა დააყარეს. ყუმბარმშენთა სხვა დიდმა შენაერთებმა ყუმბარა დაუშინეს სატანკო შენაერთებს, კავალერიას, საომარი მასალით დატვირთულ ტრანსპორტსა და ზურგში მყოფ ქვეითი ჯარის ნაწილებს.

ინგლისის მძიმე ყუმბარმშენებმა ყუმბარა დაუშინეს აგრეთვე გერმანიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ობიექტებს. ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს გერმანიის 17 თვითმფრინავი. ინგლისის 12 ავიაგამანადგურებელი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

მდგომარეობა პარიზში

პარიზი, 9 ივნისი (საკდესი). იმის გამო, რომ ფრონტი პარიზს დაუახლოვდა, საფრანგეთის მთავრობამ მთელი რიგი საგანგებო ღონისძიებანი მიიღო. გამოცხადდა, რომ პარიზის რაიონიდან დაიწყო ბავშვების ევაკუაცია 14 წლის ასაკამდე. შვებულება და საკვირაო დასასვენებელი დღეები გაუქმებულია ყველა დაწესებულებასა და საწარმოში, მიუხედავად იმისა, მუშაობენ ისინი თავდაცვისათვის თუ არა.

შვეიცარიის ქალაქების ბომბარდირების გამოძიების შედეგები

ბერლინი, 9 ივნისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო ბერნიდან იუწყება, შვეიცარიის გენერალურმა შტაბმა განაცხადა, რომ მოხდენილ იქნა იმ შვიდი ყუმბარის ტექნიკური ექსპერტიზა, რომლებიც გადმოჰყარეს კრაიცლინგენის მიდამოებში ბოდენის ტბასთან. როგორც ექსპერტიზით დადასტურდა ყუმბარები საფრანგეთის წარმოშობისაა.

საჰაერო ბრძოლა შვეიცარიის ტერიტორიაზე

ნიუ-იორკი, 9 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ბერნიდან იუწყება, ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, საფრანგეთის საზღვრის მახლობლად, შვეიცარიის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანიის ყუმბარმშენი; ლიუცერნის კანტონში ჩამოაგდეს გერმანიის „მესერშმიდტის“ ტიპის ავიაგამანადგურებელი; შვეიცარიის იურის რაიონში აგრეთვე ჩამოაგდეს გერმანიის თვითმფრინავი. საჰაერო ბრძოლის დროს დაიღუპა ორი შვეიცარიელი მფრინავი.

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 9 ივნისი (საკდესი). ნორვეგიის ჩრდილოეთ ნაწილში ბრძოლა წინანდელი გააფთრებით გრძელდება. როგორც გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენის“ კორესპონდენტი იუწყება, რომელიც შვეცია-ნორვეგიის საზღვარზე იმყოფება, გუშინ, მიუხედავად ცუდი ამინდისა, მოკავშირეთა და ნორვეგიელთა ჯარებმა შეუტიეს გერმანიის პოზიციებს ჰუნდალენის რაიონში. ნორვეგიის მეექვსე დივიზიის ნაწილებმა ამ რაიონში უკან დაახევინეს გერმანელებს. მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება, რაც ცუდი ამინდის გამო დროებით შეჩერებული იყო, კვლავ განახლდა.

გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ქალაქ ნარვიკს. ქალაქი კვლავ იწვის. უკანასკნელ დღეებში, გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის“ კორესპონდენტის სიტყვით, რომელიც ბრძოლის რაიონში იმყოფება, ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა საჰაერო ბრძოლაში გერმანიის 6 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. 7 ივნისს ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ხელი შეუშალეს გერმანიის თვითმფრინავებს თავს დასხმოდნენ ნარვიკს. გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები ნარვიკის გარეუბანში ჩამოჰყარეს.

ლონდონი, 9 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს თავისი სტოკჰოლმელი კორესპონდენტის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ, იქ მიღებული ცნობების თანახმად, მოკავშირეებმა დაიკავეს სადგური სილდვიკი, აგრეთვე მახლობლად მდებარე რკინიგზის გვირაბი. ეს ოპერაცია ჩატარებულ იქნა გერმანიის პოზიციებისათვის სამთო ქვეითების წინასწარი დაშენის შემდეგ. ინგლისის ავიაცია განაგრძობს გერმანიის ჯარის პოზიციების ბომბარდირებას.

ამერიკის დახმარება ინგლისისა და საფრანგეთისადმი

ნიუ-იორკი, 9 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების არტილერიის უფროსმა განკარგულება გასცა სახელმწიფო სამხედრო ქარხნების მიმართ იმუშაონ 24 საათი დღეღამეში და ექვსი დღე კვირაში.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, ინგლის-საფრანგეთის შემსყიდველი კომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოკავშირეებმა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუკვეთეს 8 ათასზე მეტი თვითმფრინავი. გარდა ამისა, დაკვეთილია 4 მილიონი დოლარის მძლავრი საავიაციო მოტორები. საავიაციო კომპანია „ბრიუსტერმა“ განაცხადა, რომ მან მიიღო 26 მილიონი დოლარის თვითმფრინავების დაკვეთა. ეს თვითმფრინავები, როგორც ჩანს, განკუთვნილია ინგლისისა და საფრანგეთისათვის.

საფრანგეთის სამხედრო წრეები გერმანიის ახალი შეტევის შესახებ

ლონდონი, 9 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის სამხედრო წრეები აცხადებენ, რომ „დღეს, გათენებისას გერმანიის ჯარის ყველა ნაწილი, რომლებიც დასავლეთის ფრონტზე იმყოფებიან, ახალ შეტევაზე გადაიყვანეს. ჰფიქრობენ, რომ ჯავშანსატანკო დივიზიების გარდა, გერმანელებმა ახლა ბრძოლაში გამოიყვანეს 90-100 დივიზიამდე, ე. ი. 1,800 ათასიდან 2 მილიონამდე კაცი. ჯარის ამ უდიდეს მასას იერიში მიაქვს მთელ მანძილზე ზღვიდან არგონებამდე. სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, რომ დღეს ბრძოლა განსაკუთრებული გააფთრებით იწარმოებს და ეს დღე გადამწყვეტი იქნება. საფრანგეთის ჯარმა დღეს განაახლა ბრძოლა წინანდელი შეუპოვრობით.

გუშინდელი ბრძოლა შემდეგნაირად მიმდინარეობდა: გერმანელთა ყველაზე გააფთრებული იერიში მიტანილი იყო იმ რაიონში, რომელიც ამიენის სამხრეთით მდებარეობს. საღამოსათვის ფრონტი გაფართოვდა ბირტელის რაიონამდე, რეკერნუაზე. შემდეგ აღმოსავლეთით მიტანილ იქნა კიდევ ორი იერიში, ერთი პერონის სამხრეთით, ნუაიონისა და მონდიდიეს მიმართულებით, და მეორე—ნუაიონსა და ბრეტელს შორის. ამ იერიშების შედეგად გერმანელებმა მხოლოდ რამდენიმე კილომეტრით წაიწიეს წინ. ჰფიქრობენ, რომ გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ ბრძოლაში გამოიყვანა დაახლოებით 40 დივიზია ბრელსა და ნუაიონს შორის მდებარე სექტორში. 27 დივიზია გამოყვანილ იქნა სომზე შეტევის დასაწყისში, მაგრამ აქ მათ ისეთი ზარალი ნახეს, რომ გერმანიის უმაღლესი სარდლობა იძულებული გახდა გაეწვია ამ ჯარის ერთი ნაწილი და ბრძოლაში გამოეყვანა კიდევ 20 დივიზია“.

ინგლისის კრეისერის დაღუპვა

ლონდონი, 9 ივნისი (საკდესი). ინგლისის საზღვაო სამინისტრომ განაცხადა, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავის მიერ ტორპედირებულ იქნა და ჩაიძირა ინგლისის დამხმარე კრეისერი „კარინტია“ 20 ათასი ტონა წყალწყვისა. დაიღუპა ორი ოფიცერი და ორი მეზღვაური. ომის დაწყების დროიდან ინგლისის ეს მეორე დამხმარე კრეისერია, რომელიც გერმანელებმა ჩასძირეს. პირველი დამხმარე კრეისერი „რაუალპინდი“ გასული წლის დეკემბერში ჩასძირა გერმანიის პატარა სახაზო გემმა „დოიჩლანდმა“.

იუგოსლავიის პრესა ესპანეთის პოზიციის შესახებ

სოფია, 9 ივნისი (საკდესი). იუგოსლავიის გაზეთმა „პრავდამ“ 7 ივნისის ნომერში მოათავსა სტატია ესპანეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. გაზეთი სწერს: „ესპანეთში უკვე რამდენიმე დღეა ერთგვარი მღელვარებაა. მადრიდის პრესა სულ უფრო-დაუფრო დაჟინებით სწერს ესპანეთის პრეტენზიებზე გიბრალტარის მიმართ. რომს გაემგზავრა ესპანეთის სამხედრო დელეგაცია. ესპანეთში ჯარში გაიწვიეს სათადარიგოთა ორი ასაკი. მადრიდის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხმელთაშუა ზღვაში ახალი წესების შესახებ მოლაპარაკების დროს შეუძლებელია ესპანეთის იგნორირება“.

ინგლისის პრესა ინგლის-იტალიის ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 9 ივნისი (საკდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ რომაელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ იტალიის ყველა ფაშისტურმა ორგანიზაციამ მიიღო უწყება მზად იყვნენ იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ მასობრივ მიტინგში, რომელიც გაიმართება ვენეციის მოედანზე, სადაც გამოვა მუსოლინი და გამოაცხადებს, იტალია ომს იწყებსო.

გაზეთ „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტი სწერს, რომ იტალიაში სასურსათო მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. კვირაში ოთხ დღეს აკრძალულია ხორცის მოხმარება. კარაქი რომშიც კი არ იშოვება. შაქრის ულუფა ახლაც იმაზე ნაკლებია, რაც ინგლისში. ნახშირი სრულიად არ იშოვება. ყავის გაცემის ნორმა შემცირებულია. საგრძნობია აგრეთვე კარტოფილისა და ტომატის ნაკლებობა.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ იუწყება, რომ იტალიელები გამალებით აგებენ სიმაგრეებს ეგვიპტის საზღვრის გასწვრივ. აბისინიიდან მიღებული ცნობების თანახმად, იტალიელთა მდგომარეობა იქ ძალიან მძიმეა. აბისინიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ბრძოლა სწარმოებს. აბისინელ პარტიზანთა თავდასხმის შიშით იტალიელები მზის ჩასვლის შემდეგ სახლიდან გამოსვლას ვერ ბედავენ.

მდგომარეობა იტალიაში

ლონდონი, 9 ივნისი (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ დიპლომატიური მიმომხილველი აცხადებს, არის „ნიშნები, რომლებიც მოწმობენ, რომ იტალიას შეუძლია ყოველ წუთს ომი დაიწყოს“. იტალიაში მყოფი ნეიტრალური მეთვალყურეები, აღნიშნავს მიმომხილველი, იმის მოწმენი იყვნენ, თუ როგორ გადაჰყავდათ იტალიის მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები გზატკეცილითა და რკინიგზის ხაზებით იტალია-საფრანგეთის საზღვრისაკენ.

გაზეთი „სანდი ტაიმსი“ სწერს, რომ რომში გამოქვეყნდა იმის ოფიციალური უარყოფა, თითქოს იტალიის გემებისათვის მიეცეთ განკარგულება თავისი რეისების დროებით შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ამგვარი განკარგულება, როგორც ჩანს, მართლაც გაცემულ იქნა, სწერს გაზეთი, რადგან რეისში მყოფი იტალიის გემები სასწრაფოდ გაემართნენ ნეიტრალური ქვეყნების ნავსადგურებისაკენ.

საერთო ატმოსფერო რომში, ნათქვამია შემდეგ გაზეთის ცნობაში,—დაძაბული რჩება. იმასთან დაკავშირებით, რომ საომარი მზადება გრძელდება, ქალაქში დაიხურა ყველა მუზეუმი და სამხატვრო გალერეა.

შვეცია-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება

სტოკჰოლმი, 9 ივნისი (საკდესი). შვეციის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობას შვეციასა და გერმანიას შორის სავაჭრო მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ. მოლაპარაკებას, ნათქვამია ცნობაში, შედეგად მოჰყვა შეთანხმების მიღწევა სხვადასხვა დარგში. ეს შეთანხმება, როგორც სჩანს, ხელს შეუწყობს საქონელბრუნვის შემდგომ განვითარებას. უახლოეს მომავალში მოლაპარაკება გაგრძელდება მთელი რიგი იმ საკითხების დასაზუსტებლად, რომლებზედაც ჯერ კიდევ არ არის მიღწეული შეთანხმება.

რეიტერის სააგენტო ინგლისის დანაკლისის შესახებ ზღვაში

ლონდონი, 9 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ამტკიცებს, რომ ამჟამად, ერთი მხრივ, მოკავშირეთა და მეორეს მხრივ, გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალთა თანაფარდობა უფრო ხელსაყრელია მოკავშირეებისათვის, ვიდრე ომის დასაწყისში იყო. სააგენტოს ცნობით, ომის დასაწყისში ინგლისის საზღვაო ფლოტს ჰყავდა 15 სახაზო გემი. ომის განმავლობაში ჩაძირულ იქნა ერთი სახაზო გემი. 7 ავიამზიდიდან ჩაძირულ იქნა ერთი. ინგლისს ჰყავდა 62 კრეისერი, აქედან დაიღუპა 2. ინგლისის ფლოტმა 185 საესკადრო ნაღმოსნიდან დაჰკარგა 21. ჩაძირულია 58 წყალქვეშა ნავიდან 8 ნავი. ომის დასაწყისში ინგლისს ჰყავდა 108 ტრალერი, სადარაჯო გემი და სატორპედო კატარღა. აქედან 6 დაიღუპა. შემდეგ სააგენტო აღნიშნავს, რომ ამავე ხნის განმავლობაში ინგლისის ფლოტს შეემატა საკმაო ძალები, კერძოდ 50 სავაჭრო გემი გადაქცეულ იქნა დამხმარე კრეისერებად, რომელთაგან მხოლოდ ორი დაიღუპა. გარდა ამისა, ფლოტის შემადგენლობაში ჩარიცხულ იქნა 1500 ყოველგვარი მცირე სამხედრო და დამხმარე გემი, რომელთაგან ჩაძირულია 58. დასასრულ სააგენტო აღნიშნავს, რომ ამჟამად ინგლისის გემთსაშენებში შენდება სამხედრო გემები, რომელთა საერთო წყალწყვა 1 მილიონ ტონას უდრის.

მოკავშირეთა სამხედრო დაკვეთების შესრულება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 9 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ბატლერიდან (პენსილვანიის შტატი) იუწყება, ამერიკის ვაგონმშენებლობის კომპანიამ „პულმან სტანდარდ კარ კორპორეიშენმა“ გამოაცხადა, რომ მან მოკავშირეებისაგან მიიღო დაკვეთა 3 მილიონი დოლარის ყუმბარების დამზადებაზე.

მარჯანიშვილის თეატრის მორიგი პრემიერა

გუშინ მარჯანიშვილის სახ. თეატრმა მაყურებელს მორიგი პრემიერა უჩვენა **ნ. მიქავას** და **გ. აბაშიძის** პიესა „ბედნიერება“. პიესის დადგმა განახორციელა რესპ. დამს. არტისტმა **ვ. კობახიძემ**, მხატვრობა ეკუთვნის—**მ. აბუანდაძეს**, მუსიკა—**ა. ბუკიას**.

მთავარ როლებში გამოდიოდნენ მსახიობები—**ს. ზაქარიაძე**, (ფარნა), **ქ. ბეგალიშვილი** (ქელემეთ), **ი. ვაშაძე** (ჯვებე), **ბ. გამრეკელი** (ნატო), **ა. გომელაური** (გვადი), **ე. სიხილა** (ცირა), **ა. ომიაძე** (პროფესორი ნეუდანოვი), **ი. ქორქაშვილი** (ბონდო), **ყურიშვილი** (არინა) და სხვ.

პრემიერა წარმატებით ჩატარდა. მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ სპექტაკლის ავტორებს და შემსრულებლებს.

გორის კულტურისა და დასვენების პარკის პროექტის განხილვა

11 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველ კორპუსში (აუდ. № 41) სუბტროპიკული მეხილეობის კათედრა აწყობს აკაკი კერესელიძის სადისერტაციო შრომის—„გორის კულტურისა და დასვენების პარკის პროექტის“ საჯარო განხილვას.

დისპუტი „გ. სააკაძის“ შესახებ

11 ივნისს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის 13) შესდგება დისპუტის გაგრძელება ამხ. ბესო ჟღენტის მოხსენების გამო — „გიორგი სააკაძე ჩვენ თეატრებში“.

მშობელთა უნივერსიტეტში

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების სანკულტურის სახლში (პლეხანოვის პროსპექტისა და ამოს ქუჩის კუთხე) 11 ივნისს საღამოს 8½ საათზე შესდგება პროფ. **გ. ნათაძის** ლექცია თემაზე: „სასკოლო ასაკის ბავშვთა აზროვნების განვითარება“.

ლექციის შემდეგ დამსწრეთ უჩვენებენ სანკულტურის თეატრის წარმოდგენას — „სინანული“ (დადგმა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ გ. ნინიძისა).

ფეხბურთი

თბილისის პირველობის გათამაშება.

11 ივნისს თბილისის ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე დაიწყება უძლიერეს ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება თბილისის პირველობაზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ „დინამოს“, „სპარტაკის“, „მშენებლის“, „ბურევესტნიკის“, „როდინის“, „მეტალისტის“, „მოტორის“, „ბოლშევიკისა“ და სხვა სპორტული ორგანიზაციების უძლიერესი ფეხბურთელთა გუნდები.

დღეს „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი შეხვდება თბილისის „დინამოს“ პირველ გუნდს.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1264426, გაცემული ოლღა ალექსანდრეს ასულ დავითაიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2860197, გაცემული ვერა იოსების ასულ პეჩონკინის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „აბესალომ და ეთერი“ (3 აბ. 15 წარმ.), **რუსთაველის** სახელობის — „უდანაშაულო დამნაშავენი“, **მარჯანიშვილის** სახელობის — „ბედნიერება“, **მოზარდ მაყურებელთა** — „პატარა კახი“, **გრიბოედოვის** სახელობის — „ანნა კარენინა“, **საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი** — დიდი საატრაქციონო წარმოდგენა: კაცი ელვა ნიკოლოზ გლეიზაროვი, **ღია ესტრადა** — საღამო-კონცერტი, **ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, საკონცერტო ესტრადაზე პ. კაკაბაძის კომედია 4 მოქმ. „ყვარყვარე თუთაბერი“, შ. ღამბაშიძის, ჟორჟოლიანის და სხვების მონაწილეობით.

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „მანერჰაიმის ხაზი“, **ოქტომბერი** — „მანერჰაიმის ხაზი“, **დამკვრელი** (ზაფხულის)—„მანერჰაიმის ხაზი“, **დამკვრელი** (ზამთრის) — „მანერჰაიმის ხაზი“, **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „მანერჰაიმის ხაზი“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „დაგვიანებული სასიძო“, **ლუქსემბურგის სახ.**— „დაგვიანებული სასიძო“, **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „დაგვიანებული სასიძო“, **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „დაგვიანებული სასიძო“, **კომინტერნი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „კენდლილიარ“, **ახალი ამბები** — „რედაქციის დღე“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1939—40 წ. სეზონი.
დილის წარმოდგენა 12 ივნისს
პ. კაკაბაძე
ყვარყვარე თუთაბერი
კომედია 4 მოქმ.
დადგმა კ. მარჯანიშვილის, აღადგინა რეჟ. გ. მრავალაძემ. მხატვარი—ე. ახვლედიანი (ორდენოსანი). მუსიკა—რ. გაბიჩვაძისა
წარმოდგენის დასაწყისი დილის 12 საათზე.

დედა მარო, და ციცინო, ძმა ვილიანი იუწყებიან, რომ 12/VI 4 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ნათელა ლეონტის-ასულ ახობაძის
პანაშვიდი. 6730

დედა დესპინე, დები ანიკო, მართა, შვილები კოლია, ცუცა, ბიძაშვილები ილიკო, თამარ, ისიდორე, ვერა ადეიშვილები იუწყებიან
მინადორას
გარდაცვალებას. გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან. 11/VI 5 ს. 6737

ცოლი ლუბა, შვილები მიშა, საშა, ეთერ, დიდა ბარბალე, ძმა ნესტორ, დები ანიჩკა, სონია იუწყებიან, რომ 12/VI 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
სპირიდონ მიხეილის-ძე შუბლაძის
პანაშვიდი. 6738

შვილები გიგუშა, დათა, რიტა, რძლები კაკალა, ვენერა, შვილებით იუწყებიან, რომ 12/VI 1 ს. ვაკის სასაფლაოზე შესდგება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ორდენოსან
სანდრო კავსაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 6739

ვასასი და იაკობ არშბა შვილებით და შვილიშვილებით იუწყებიან რძლის
ანგელინა ანდროს-ასულ არშბას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ცხაკაიაში.

თოდუა, ჯაკობია, არუთინოვა, გაგნიძე, ალავერდოვი, კუკანოვა, ძიმისტარიშვილი, ბერიევა, ზაღათურია, გაბუნია, მამიდოვა, ამილახვარი, ჩაგელიშვილი, ფხაკაძე, ჯიქია იუწყებიან შალვა ქავთარაძის დისწულის
ანგელინა (კიკუ) ანდროს-ასულ
ხოფერია-არშბას
გარდაცვალებას.

დედა ალექსანდრა, კოლია, ნინო ავალიანი, ნინო ახვლედიანი, გერასიმე ცოლშვილით იუწყებიან, რომ 12/VI 6 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ბოგი ხუხუნის
პანაშვიდი. 6735

ამბროსი შანშიაშვილი, სონია კობახიძე, რეზო და თინა შანშიაშვილები იუწყებიან
მიხეილ (მიშა) ტრიფონის-ძე
ბარაბაძის
გარდაცვალებას. 6736

ბიძაშვილი ანიკა ბაქრაძე ქმრით ვლადიმერით, შვილებით ვანიკათი, ვახტანგით, თამარით, მასურიათი, ნადიათი, ლოლათი, ქსენიათი, ლუბათი, სიმეონ ბ. ცნობილაძით, გ. შარაშიძით იუწყება
გოგოლა შარაშიძის
გარდაცვალებას. 6743

მშობლები ელიკო, მიშა შვილი კირათი იუწყებიან საყვარელი შვილის პატარა
იზა გოზალიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 12/VI დღის 1 საათზე ბავშვთა საავადმყოფოდან (სასამართლოს 48). დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

ქალ. I საავადმყოფოს ქირურგიული და უროლოგიური განყოფილების საშუალო მედპერსონალი იუწყება ამავე კლინიკის ასისტენტის დოცენტ ს. არშბას მეუღლის
ანგელინა არშბას
გარდაცვალებას. 6727

მეუღლე ალექსანდრე, შვილები ლადიკო, შოთა ცოლშვილით, ქალიშვილები ქმარშვილით იუწყებიან, რომ 13/VI 6 ს. ქ. ზესტაფონში დანიშნულია
ოლღა ბესარიონის-ასულ დგებუაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 6728

შალიკო ხოფერია ცოლშვილით, ფუცუ ხოფერია შვილებით, ცოცო, ლადო ცინცაბაძე, ტატული, აპოლონ ქავთარაძეები, ცირო, ვარლამ დემურია შვილებით იუწყებიან
ანგელინა არშბას
გარდაცვალებას. 6734

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლ.-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1303